# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 30 მარტი, 2011 წელი.

№58 (6670)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ② წერილები ციხის ბნელი საკნიდან




## ③ ჩვენი მათხოვრული ყოფა

## საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგებმა აზერბაიჯანთან ⑤ 293 ჰექტარი შეადგინა



## სააკაშვილისთვის ⑧ ოპოზიცია სავალდებულო არ არის



## მილოშევიჩი, ⑨ ჰუსეინი, კადაფი... ვინ არის შემდეგი?

## რატომ ② ეწინააღმდეგება ხელისუფლება ბიომეტრიის ლეგიტიმურობას



## ⑤ შაშკინის „ლინგვისტური რევოლუცია“

## ეეეხ!... ⑦ ნობელი ცოცხალი რომ იყოს!



## ② ლევან გაჩეჩილაძე ბადრი ბიწაძეს შინ მიუხტა

## რუსი ასტროლოგები და შამანები



## მესამე მსოფლიო ⑧ ომს ვარაუდობენ

## რატომ ② არ უნდა გახდეს საქართველო სინგაპური?

ოპოზიცია

# რატომ ეწინააღმდეგება ხელისუფლება ბიომეტრიის ლეგიტიმურობას



**პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ მტკიცებით, სახელისუფლებო პარტია არჩევნებზე ბიომეტრიული სისტემის გამოყენებას „მისი ლეგიტიმურობის გაქრობის შიშით“ არ თანხმდება.**

როგორც „პირველს“ „ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **რევაზ შავიშვილმა** განუცხადა, „საარჩევნო სიის მთელი ქვეყნის მასშტაბით ბიომეტრიულად ფორმირების შემთხვევაში ბუნებრივად დადგება ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საკითხი“.

„ოფიციალურად, დღეს საქართველოში დაახლოებით 3 მლნ 700 ათასი ამომრჩეველია რეგისტრირებული, რაც სრულიად არარეალური ციფრია. ამ მონაცემების მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის 80%-ზე მეტი ამომრჩეველია, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდია. ბიომეტრიის გამოყენების შემთხვევაში, ჩვენი გათვლით, საარჩევნო სიიდან მილიონზე მეტი ზედმეტი ამომრჩეველი ამოვარდება. შედეგად დადასტურდება, რომ საქართველოს არალეგიტიმური პრეზიდენტი და პარლამენტი მართავს და ბუნებრივად დადგება ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხი. სწორედ ამის ეშინია „ნაციონალურ მოძრაობას“, — განუცხადა „პირველს“ შავიშვილმა, რომლის მტკიცებით, ამომრჩეველთა რეალური რაოდენობა 2 მილიონ 400-500 ათას მოქალაქეს არ აღემატება.

რაც შეეხება მმართველი პარტიის ჯერ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ თანხმობას არჩევნების ბიომეტრიული საარჩევნო სიით მხოლოდ თბილისის მასშტაბით ჩატარების შესახებ, „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლის განმარტებით, „ეს სურათს კიდევ უფრო გააუარესებს“, რისი ორგანიზებაც, შავიშვილის აზრით, „ხელისუფლებას ოპოზიციის ხელით სურს“.

„თბილისში 1 მლნ 100 ათასი ადამიანი ცხოვრობს, აქედან ამომრჩევლად ოფიციალურად 980 ათასი, ანუ დედაქალაქის მცხოვრებთა 90%-ია რეგისტრირებული, რაც, რა თქმა უნდა, არარეალურია. დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ გამოდის და ამბობს, რომ თანახმაა, თბილისში არჩევნები ბიომეტრიული სისტემით ფორმირებული საარჩევნო სიით ჩატარდეს, თუმცა ამის პარალელურად იუსტიციის მინისტრის ბრძანებაც გამოიცა, რომლის გათვალისწინებით, ყველა ადამიანი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა აღირიცხოს. მოგეხსენებათ, დღეს ნახევარი საქართველო სწორედ თბილისში ცხოვრობს და იუსტიციის მინისტრის ბრძანებაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ის ზედმეტი ამომრჩეველი, რომელიც ბიომეტრიის გამოყენებით საარჩევნო სიიდან ამოვარდება, ფაქტობრივ მისამართებზე რეგისტრირებული ადამიანებით შეიცვლება, ხოლო ამომრჩეველთა რიცხვი კვლავ 980 ათასი დარჩება“, — აცხადებს შავიშვილი და ამის დაშვებას ცალსახად გამორიცხავს.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ კატეგორიულ უარს უშუალოდ არჩევნების დღეს ამომრჩეველთა ბიომეტრიული წესით რეგისტრირების თაობაზე, „ეროვნული ფორუმისთვის“ მმართველი პარტიის პოზიციაც და მისი არგუმენტაციაც გაუგებარია.

**ნათია ინაური**

პარტიებსა და მოძრაობებში

# წერილები ციხის ბნელი საკნიდან

## ვლადიმერ ვახანიას „მთლიანი საქართველო“ სამეგრელოს საზოგადოებრიობას შეხვდა

**პოლიტიკური პატიმრის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას პოლიტიკური პარტიის „მთლიანი საქართველოს“ ხელმძღვანელობა ზუგდიდში სამეგრელოს რეგიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ენგურქაღალდკომბინატის კულტურის სასახლის დიდ დარბაზში შეხვდა.**

ამ შეხვედრის მიზანია ერთმანეთის გაცნობა, ერთმანეთისთვის მართალი, პრინციპული აზრების გაზიარება. ჩვენი პარტიის მთავარი ამოცანა საქართველოს გამთლიანებაა. ამ გამთლიანებაში მთავარი როლი სამეგრელომ უნდა შეასრულოს. სწორედ ამან განაპირობა ვლადიმერ ვახანიას დაპატიმრება. ვლადიმერ ვახანია პატიმარი კი არა, ამ ხელისუფლების ტყვეა, მაგრამ ის მალე დაუბრუნდება თავის ოჯახს. მან ყველა თქვენგანს მოკითხვა შემოგითვალათ რუსთავის კოლონიიდან, — აღნიშნა შეხვედრაზე პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჯემალ შელიამ.

ვლადიმერ ვახანიას დამ — ქალბატონმა ნანულიმ თავისი ძმის წიგნის — „წერილები საპატიმროდან“ წარდგენა მოაწყო.

ჩემმა ძმამ ციხეში, გაუსაძლის პირობებში, უფანჯრო საკანში, 38 წერილი დაწერა და ეს წერილები გამოვიდა ერთ წიგნად, რომელიც თქვენ დაგირიგდებათ. ჩემი ძმა ამჟამად შედარებით კარგად გრძნობს თავს და არ წყვეტს შემოქმედებით და პოლიტიკურ საქმიანობას, მუშაობს ახალ წიგნზე, რომელსაც სულ მალე შემოგთავაზებთ, — განაცხადა ქალბატონმა ნანულიმ.

შეხვედრაზე წაიკითხეს ვლადიმერ ვახანიას მიმართვა შეხვედრის მონაწილეებისადმი და შეხვედრის მონაწილეთა მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, რომლებშიც ხაზგასმულია სამეგრელოს უმთავრესი მისია საქართველოს გაერთიანების ურთულეს და უწმინდეს საქმეში.

უკანონოდ დაპატიმრებულ ვლადიმერ ვახანიას, რომელიც პატიმრობის პირობებში ახერხებს საკუთარი პარტიის საქმიანობის წარმართვას, თავისუფლებამდე წელიწადნახევარი დარჩა.

**ლადო ქირია.**
**ზუგდიდი.**

სკანდალი

## ლევან გაჩეჩილაძე ბადრი ბიწაძეს შინ მიუხტა

**„ქართული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერ ლევან გაჩეჩილაძესა და „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძის მეუღლეს ბადრი ბიწაძეს შორის მიუნხენში მომხდარი ინციდენტი გუშინ წყნეთში გაგრძელდა.**

„პრესა.ჯის“ ინფორმაციით, ბადრი ბიწაძის სახლთან გუშინ, გვიან ღამით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გაჩეჩილაძე მივარდა და დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში ბადრი ბიწაძის ხმამაღლა გინებით გული იჯერა. როგორც ინციდენტის თვითმხილველები ამბობენ, გაჩეჩილაძე საკმაოდ მთვრალი იყო და ფეხზე დგომა უჭირდა. გაჩეჩილაძე ბიწაძის სახლის რკინის გალავანზე ასვლასაც ცდილობდა.

თვითმხილველთა ინფორმაციით, ინციდენტიდან დაახლოებით ოც წუთში ბიწაძეების სახლთან საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მივიდა, თუმცა, ლევან გაჩეჩილაძე და მისი თანმხლები პირები იმ დროს უკვე იქ აღარ იყვნენ.

„პრესა.ჯი“-ს ცნობით, ლევან გაჩეჩილაძე ბადრი ბიწაძეს მობილურზეც ურეკავდა და იგინებოდა, რადგან ბიწაძე მის ზარებს არ პასუხობდა.

ბრიფინგი

## 1 აპრილს მშვიდობიანი აქცია გაიმართება

**სამოქალაქო ფრონტმა ჯაბა ჯიშკარიანის ორგანიზატორობით საგანგებო ბრიფინგი გამართა, ტელეკომპანია „რეალ ტივის“ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომელიც „პრაიმ თაიმის“ დაკვეთით გაშუქდა. სიუჟეტში ლიბიაში მომხდარი რამდენიმე მაგალითი საქართველოში შესაძლო სისხლიან გადატრიალებას უკავშირდებოდა. გაირკვა ისიც, რომ, სავარაუდოდ, რევოლუციაში მთავარ როლს ძმები გაჩეჩილაძეები ითამაშებენ.**



ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ მსგავსი რამ აზრადაც არ მოსვლიათ — ჩვენი აქცია 1 აპრილს გაიმართება და მშვიდობიანი იქნებაო.

„ჩვენ ვაცხადებთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება არალეგიტიმურია. ჩვენ გვინდა თავისუფალი მედია, სასამართლო და დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება, — განაცხადა ჯიშკარიანმა.

**ირინა ოზოლაშვილი**

კონფლიქტის ზონა

## აფხაზთა მოსახლეობა სეპარატისტთა აღწერით

**აფხაზმა სეპარატისტებმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩატარებული მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნეს.**

**სეპარატისტების მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგები შემდეგნაირია:** წინასწარი ინფორმაციით ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე 242 862 ადამიანი ცხოვრობს. მათ შორის ქალაქად — 119371 ადამიანი, სოფლად — 123 455 ადამიანი.

სოხუმში 64 478 ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის სოფლად — სოხუმის რაიონში — 12 045 ადამიანი.

გაგრის რაიონში 39 342 ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის ქალაქად 24 194 ადამიანი, სოფლად 15 148 ადამიანი.

გუდაუთის რაიონში 37 143 ადამიანი ცხოვრობს — ქალაქად 9447 ადამიანი და 27 696 — სოფლად.

გულრიფშის რაიონში 18 146 ადამიანი ცხოვრობს.

ოჩამჩირის რაიონში 25 235 ადამიანი. მათ შორის ქალაქად 4927 და სოფლად 20 308 ადამიანი.

ტყვარჩელის რაიონში 16 000 ადამიანი ცხოვრობს. ქალაქ ტყვარჩელში 4821 ადამიანი, სოფლად კი 11179 ადამიანი.

გალის რაიონის მოსახლეობა 30 437 ადამიანს შეადგენს. მათ შორის ქალაქად 7583 ადამიანი, სოფლად კი — 22 854 ადამიანი.

განსჯა

# რატომ არ უნდა გახდეს საქართველო სინგაპური?



**ნებისმიერ ეპოქას თავისი მიზნები და იდეალები აქვს და მიუხედავად იმისა, რამდენად უახლოვდება იგი რეალურ ცხოვრებაში საკუთარ იდეალს, ეს მიზნები და იდეალები თავისთავადაც უკვე ბევრს გვეუბნებიან ამა თუ იმ ეპოქის ხასიათზე.**

დღეს ქართული სახელმწიფოს იდეალად უკვე ოფიციალურად არის გამოცხადებული ქალაქ-სახელმწიფო სინგაპური. ამ სტატიაში არ ვაპირებ იმის განხილვას, თუ რამდენად შეიძლება კავკასიელი ადამიანისგან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიელის „გამოყვანა“ და არც იმას შევეხები, თუ რამხელა კულტურული, ისტორიული და ზოგადად ცივილიზაციური განსხვავებაა საქართველოსა და სინგაპურს შორის. ჩემი მიზანია გავარკვიო, საერთოდ რას წარმოადგენს სინგაპური, როგორც ქვეყანა და რამდენად შეეფერება იგი თითოეული ქართველის ოცნებას მომავლის საქართველოზე.

თავდაპირველად მინდა მოვიყვანო მხოლოდ მშრალი ფაქტები როგორც სინგაპურის, ასევე „მეორე იდეალის“ — დუბაის, ანუ არაბეთის გაერთიანებული საამიროების შესახებ, ხოლო მკითხველმა თავად განსაჯოს, ღირს თუ არა ცათამბრჯენების სანაცვლოდ ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ.

პირველ რიგში ცოტა რამ დემოგრაფიაზე. ძალიან უცნაური (რომ არ ვთქვათ საეჭვოძ დამთხვევაა, როცა იდეალად ცხადდება ორი ისეთი ქვეყანა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას უკვე შეადგენენ იმიგრანტები, ანუ უცხოელები. საკმარისია ითქვას, რომ სინგაპურში ადგილობრივი, მალაიური ენა უკვე თითქმის მთლიანად არის გამოძევებული არა მხოლოდ ყოველდღიური, არამედ ოფიციალური მოხმარებიდანაც ინგლისურისა და ჩინურის მიერ. ამ არგუმენტზე „სინგაპურიზაციის“ მომხრეები ხშირად ცინიკურად პასუხობენ, რომ ამაში კატასტროფული ან უპრეცედენტო არაფერია, რადგან მთელი ამერიკის კონტინენტის დღევანდელი მოსახლეობაც უმეტესად იმიგრანტები ან მათი შთამომავლები არიან. ამ მომხრეებს, **როგორც ჩანს, სრულებითაც არ აწუხებთ ის, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში გველოდება არა თანამედროვე ამერიკელების, არამედ ისტორიის ასპარეზიდან გამქრალი ინდიელების ხვედრი, რომლებიც თურმე მხოლოდ იმიტომ გამქრალან, რომ „უფრო შრომისმოყვარე“ ევროპელებს ან აფრიკელებს სათანადო კონკურენცია ვერ გაუწიეს(!?).**

ახლა რაც შეეხება დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს. ალბათ, ბევრს გაუკვირდება, მაგრამ **სინგაპური არის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე არადემოკრატიული ქვეყანა, რომელიც მედიის თავისუფლების მხრივ ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილს იკავებს მთელს მსოფლიოში. სინგაპური ასევე ითვლება ფაქტობრივად ერთპარტიულ ქვეყნად, რომელსაც XX საუკუნის 60-იანი წლებიდან უცვლელად და „ეფექტიანად“ მართავს ერთადერთი პარტია.** ასეთი „იდეალის“ ფონზე უკვე გასაკვირიც არ უნდა იყოს ის სისტემა, რაც ბოლო პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა: უფრო მეტიც — სინგაპურის მაგალითის გათვალისწინებით, ალბათ წინ კიდევ ბევრი „სიურპრიზი“ გველოდება.

იხ. 4 გვ.

◎ ვითარება

# მიტოვებული შიდა ქართლი

**„ეროვნული ფორუმის“ ცენტრალურ ოფისში გაიმართა პრესკონფერენცია: გორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ სოსო ვახტანგიშვილმა შეკრებილთ გააცნო, თუ როგორ ცხოვრობს შიდა ქართლის მოსახლეობა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ.**

კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა იმდენად გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფება, რომ წლევანდელი მკაცრი ზამთარის პირობებში უშეშოდ დარჩენილმა გლეხებმა ხეხილის აჩეხვა დაიწყეს. უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებიან ხელისუფლებისაგან მიტოვებული ე. წ. „ბუფერული ზონის“ სოფლები. ათეულობით სოფლის მცხოვრებს შეუწყდა ყოველგვარი სახელმწიფო დახმარების პროგრამა, თითქმის მთავრდება ყველა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა.

2008 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ შიდა ქართლში ათასობით ახალი დევნილი გაჩნდა. მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე და უიმედოა. მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 28 მილიონი ლარი, თუმცა, როგორც ვახტანგიშვილმა საყვედურით და გულისტკივილით თქვა, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნაომარ შიდა ქართლში აგვისტოს მოვლენების შემდეგ ერთხელაც არ ჩასულა და არ დაინტერესებულა, თუ როგორ ცხოვრობენ ის მოქალაქეები, რომლებიც, ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკის გამო, წაგებული ომის მძევლები გახდნენ.

**ნათია კახიძე**




◎ სოციალური დაცვა და დემოკრატია

# ჩვენი მათხოვრული ყოფა

**მოსახლეობის სოციალური გარანტიები და სოციალური სტანდარტები საქართველოს დღეისათვის საერთოდ არ გააჩნია. „დემოკრატიული რევოლუციის“ დასაწყისიდან ავანტიურისტების ჯგუფმა, რომლებიც შენიღბულად იმართებოდნენ უცხოეთიდან, ნაციონალისტური ლოზუნგების კორიანტელით აიყოლია გაბრიყვებული ახალგაზრდობა, ცხოვრებაში ხელმოცარული ადამიანები, სხვადასხვა რჯულის უსაქმურები, „საქმოსნები“, დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები და რაც ყველაზე სამწუხარო იყო, ბევრი ჭეშმარიტი და პატიოსანი პატრიოტიც.**

ეროვნულ-გამანთავისუფლებელი იდეის მოქმედება ქაოტურმა მოძრაობამ დაანგრია და ქარს გაატანა სოციალისტური ქვეყნის ყველა მონაპოვარი, მათ შორის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის წლობით ნაგები სახალხო სისტემაც. ამასთან, უარყო და არ შეიყვანა მოქმედებაში საკავშირო მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი კანონი პენსიების ახლებურად გამოთვლისა და ზღვრული ძველი სისტემის გაუქმების შესახებ, რომელიც ძალაში 1993 წლის 1 იანვრიდან უნდა შესულიყო. ამასთან, პირველმა „დემოკრატიულმა“ მთავრობამ მიიღო „კომუნისტურზე უფრო კომუნისტური“ კანონი საერთო ოდენობის პენსიის შემოღების შესახებ. ქართველმა დისიდენტებმა, რომლებიც ყოველთვის ადანაშაულებდნენ კომუნისტებს ყველას და ყველაფრის გათანასწორებაში, ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე სოციალური დაცვის სფეროში გაატარეს უფრო რადიკალური რეფორმა ერთიანი მათხოვრული პენსიის სახით. ე.ი. ერთნაირი პენსია არგუნა დამსახურებული მშრომელ ადამიანს 40-45 წლის სტაჟით და 10-15-წლიან ყალბ სტაჟიან ბევრ უსაქმურს და მცონარას. ეს იყო „დემოკრატიული“ მთავრობის ერთ-ერთი პირველი „დემოკრატიული და სამართლიანი“ ნაბიჯი, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საწყის გზაზე, „უსამართლო და არადემოკრატიული“ სოციალისტური სახელმწიფოს ნგრევის დასაწყისში.

ინგლისელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე ბენჯამინ დიზრაელი თავის დროზე ასე გვმოძღვრავდა: „სამართლიანობა – ეს არის სიმართლე მოქმედებაში“. ქართველი „დემოკრატების“ ყოველი ქმედება კი ძალზე შორს არის მისგან. ალბათ მათზეა ზედგამოჭრილი მსოფლიოს უდიდესი დრამატურგის უილიამ შექსპირის სიტყვები: „ვაგლახ, ერთხელაც სათნოება თუ დავკარგა, თავგზა გვებნევა და არ ვიცით, რა გვსურს, რა არა“.

ასე აგორდა ქვა და თან გაიყოლია ქვაღორღი, ალგავა მიწისა ზედა ყველაფერი და ნაცარტუტად და ნანგრევებად აქცია ქვეყანა.

როგორც ვიცით, გამსახურდია-სიგუას და გამსახურდია-გუგუშვილის მთავრობებს მოჰყვა სამხედრო საბჭო, შემდეგ სახელმწიფო საბჭო, შევარდნაძე-სიგუას, შევარდნაძე-ფაცაციას, შევარდნაძე-ლეკიშვილისა და სააკაშვილის მთავრობები. ისინი, ყველანი ქართველებს ურჩევდნენ,

> **„ბრძენი კაცი არ უზამს სხვას იმას, რაც არ უნდა, რომ მას გაუკეთონ“**
>
> **კონფუცი**

მოთმინება გამოეჩინათ და ახლო მომავალში ბედნიერებას, აყვავებას და მრავალ სიკეთეს ჰპირდებოდნენ ერს.

ერთი ჭეშმარიტება კი ავიწყდებოდა ყველას, რომ „დიდი სიკეთის გასამარჯვებლადაც კი კაცმა მცირეოდენი ბოროტების ქმნაც არ უნდა იკადროს“ (პასკალი).

იკადრეს და რა იკადრეს? მცირეოდენი? არა საკმაოდ მნიშვნელოვანი, სასიცოცხლო და ჯერარნახული! სიკეთე? არც უფიქრიათ ასეთ უმნიშვნელო რამეზე!

ბუნებრივია, იბადება კითხვა, დღევანდელი ფინანსური დეფიციტის პირობებში, არის კი საშუალება მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის. სამართლიანი კითხვაა! მაგრამ კითხვა თვით იწვევს საპირისპირო კითხვას, რატომ?! თუ კაპიტალიზმი ბედნიერების მომტანი წყობილებაა, მაშინ რად გამათხოვრდნენ და გაუბედურდნენ ის ერები, რომლებიც ნორმალურად ცხოვრობდნენ სოციალისტურ პირობებში და ახლა „ცივილიზებულ“ სამყაროში მოხვდნენ. რატომ გვესმის დღეს ასე ხშირად მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან, რომ არ არის სახსრები, ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად. განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ეხება ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის ელემენტარული პირობების შექმნას. თუ ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლია კაპიტალისტურ წყობილებას ხალხისთვის, მაშინ რა საჭირო იყო ძველის დანგრევა?! ან ვისთვისაა საჭირო გარდაქმნა? ნუთუ, მარტო მმართველი ელიტისთვის?!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თუ 1989 წლისთვის საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 72,2 წელს შეადგენდა (მამაკაცები – 68,0, ქალები – 75,8ძ, დღეისათვის ის ძალზე შემცირდა „დემოკრატიზაციის“ პერიოდში მომხდარი ეთნოკონფლიქტების, შინაური უთანხმოებისა და სხვ. მიზეზების გამო. ახლა მივუსადაგოთ მას რეფორმატორთა მიერ ხალხისთვის გაცემული „წყალობის“ ხუთი წლით პენსიის გადავადების „სიკეთე“ და შედეგად მივი-




ლებთ იმას, რომ პენსიის მიმღებთა რაოდენობაც ასევე მკვეთრად შემცირდება. აქედან კი გამომდინარეობს ის ჭეშმარიტება, რომ „დემოკრატია“ დაუღალავად „ილვწის“, რათა შეამციროს საბიუჯეტო ხარჯები ამ მიმართულებით, რამეთუ საპენსიო წლოვანებას ბევრი ვერ მიაღწევს. გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ სჭირდება პენსიონერები, რომლებიც არაფერს აწარმოებენ, ხოლო ბიუჯეტიდან კი თანხებს მოითხოვენ. აი, ასე გაჩნდნენ ჩვენთან ქვეყანაში „ზედმეტი“ ადამიანები.

„ვარდების რევოლუციამ“, ასევე, იმედგაცრუება მოუტანა საქართველოს მოსახლეობას. სააკაშვილი-ჟვანიას და სააკაშვილი-ნოღაიდელის და ა.შ. მთავრობები მათი „მამობილის“ პოლიტიკის გამგრძელებელი აღმოჩნდნენ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ შემოიღეს ყაჩაღობის ახალი ფორმა – სახელმწიფოებრივი ღია რეკეტი, რომელსაც იყენებენ მათი მოწინააღმდეგეების დასაყაჩაღებლად. აბა, სხვანაირად, როგორ შეიძლება ვუწოდოთ გამოძიებისა და სასამართლოს დადგენილების გარეშე, თანხების „შეწერას“, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში იწყებს „მუშაობას სამართალდამცავი“ სისტემა...

განა შეიძლება ასეთ მთავრობებს უწოდო დემოკრატიული, ანუ სახალხო მთავრობები, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე არღვევდნენ და აგრძელებენ კანონის დარღვევას, როცა უნდათ. ასეთ პირობებში, როგორ შეიძლება ლაპარაკი მოსახლეობის ნორმალურ სოციალურ პირობებზე, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები „ხელფასს“ და რაღაც გრანტებს (საიდან? რისთვის?ძ ღებულობენ 50-დან 200-ჯერ მეტს, ვიდრე ექიმი ან პედაგოგი. ასეთი დემოკრატიული მთავრობების მოღვაწეობის შედეგად ქვეყანაში შექმნილია ნამდვილი სოციალური ჯოჯოხეთი, რომლის გამოც მილიონობით ადამიანმა დატოვა სამშობლო და ლუკმა-პურის საშოვნელად გადაიხვეწა საზღვარგარეთ. მიგრაციამ სხვა ქვეყნებში ისეთი კატასტროფული ზომები მიიღო, რომ მთავრობა იძულებულია არ გამოაქვეყნოს მოსახლეობის აღწერის მაჩვენებლები.

სამაგიეროდ მთავრობა არაფერს იკლებს – ისვენებენ მსოფლიო საუკეთესო კურორტებზე, აქტიურად თამაშობენ სტუმრობა-მასპინძლობას. უსაქმური ახალგაზრდობის გართობა-„დასაქმებისთვის“ აწყობენ გრანდიოზულ შოუ-კონცერტებს და ა.შ. მაგრამ გაუგებარია, რას ღლესასწაულობენ ხელისუფლება და „საქმოსნები“?! ქვეყნის მრეწველობის განადგურებას, თუ სოფლის მეურნეობის გაჩანაგებას?! იქნებ მოსახლეობის სოციალური პირობების უკუგაუმჯობესებას (გათბობის სისტემების მოშლას, უმუშევრობის გრანდიოზულ ზრდას, ჯანმრთელობის სისტემის ფასიანზე გადაყვანას, დასასვენებელი და სამკურნალო-პროფილაქტიკური კერების დანგრევასძ?!

აი, როგორი დემოკრატია მიაჩეჩა საქართველოს მოსახლეობას ცივილიზებულ სამყაროში „განათლება“ მიღებულმა ჩვენმა ხელისუფლებამ და, აქედან გამომდინარე, მივიღეთ ის სოციალური ყოფა, რაც გვაქვს და რასაც, რბილად რომ ვთქვათ, მათხოვრული ყოფა ეწოდება, რომლის საფუძველთა საფუძველია სოციალური უთანასწორობა, და რომელიც ბრჭყვიალა ქაღალდში შეფუთული, ასე მარჯვედ მიაჩეჩეს საქართველოს მოსახლეობას, თავისუფლების ეგიდით დამშვენებული.

**თეიმურაზ დარჩიაშვილი,**
**საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი**

◎ ინფორმაცია

## იგეგმება ევრობონდების მეორე ემისია

**ფინანსთა** სამინისტრო მიმდინარე წელს ევრობონდების მეორე ემისიას გეგმავს, რომლის მოცულობაც 500 მილიონი დოლარი იქნება. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ პაპუნა პეტრიაშვილმა ევროპასთან ინტეგრაციის, საგარეო ურთიერთობათა და დიასპორის საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.

– ცვლილება შედის ბიუჯეტის ვალდებულებების ნაწილში, რომელშიც აისახება 2008 წელს გამოშვებული ევრობონდის რეფინანსირებისთვის წელს გამოსაშვები თანხები და ეს არის 500 მილიონი დოლარი, – აღნიშნა პეტრიაშვილმა.

მისივე თქმით, ეროვნულ ბანკთან გამართული კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, რომ წელს კიდევ დამატებით მოხდეს 100 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულების გამოშვება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

განსჯა

# რატომ არ უნდა გახდეს საქართველო სინგაპური

(მეორე გვერდიდან)

სხვათა შორის, ჩვენი „ლიბერალებისთვის“ განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ისიც, რომ ამავე **სინგაპურში, ოფიციალურად, კანონის ძალით არის აკრძალული ჰომოსექსუალიზმი და ზოგადად, ამ ქვეყანაში სექსუალური უმცირესობების უფლებები, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ არსებობს**. არადა ეს ის უფლებებია, რომლებიც ჩვენს დღევანდელ „ლიბერალებს“ ქვეყნის განვითარების ერთ ერთ „ქვაკუთხედად“ წარმოუდგენიათ. ამ ეტაპზე დავანებოთ თავი საერთოდ რამდენად მართებულია ასეთი „წარმოდგენა“, უბრალოდ მიაქციეთ ყურადღება, რომ სინგაპურში არათუ უბრალოდ ებრძვიან ჰომოსექსუალიზმის **პროპაგანდას** (რასაც ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი მოითხოვს), არამედ კანონის ძალით სჯიან არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს, რაც ჩვენთან ყველაზე „ბნელ“ ანტიგლობალისტებსაც კი არ მოსვლიათ თავში.

ასევე აღსანიშნავია, რომ **სინგაპურში, ისევე როგორც საამიროებში დღემდე არსებობს სიკვდილით დასჯა და სისრულეში მოყვანილი განაჩენების რაოდენობით ეს ქვეყნები ასევე მსოფლიოს „მოწინავეთა“ რიგებშია.**

რაც შეეხება დემოკრატიას არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ანუ დუბაიში, თავს არ შეგაწყენთ დეტალების გამეორებით, ამ ქვეყანას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, აქ კი უბრალოდ აღვნიშნავ, რომ საამიროები დაახლოებით ისეთივე „დემოკრატიაა“ როგორიც სინგაპური.

კიდევ ერთი მითი, რაც საქართველოში ბოლო დროს შეიქმნა არის ის, რომ სინგაპურსა და დუბაიში არ არსებობს სიღარიბე და ზოგადად მისაღები სოციალური სიტუაციაა.

მართალია სინგაპურის ცენტრალურ ქუჩებში იშვიათად ნახავთ მათხოვრებსა და უსახლკაროებს, მაგრამ ეს ხდება არა იმიტომ, რომ იქ ისინი არ არიან, არამედ იმიტომ, რომ ხელისუფლება ენერგიულად აშორებს მათ „ტურისტულ თვალს“ და „ეფექტურად“ გადაყავს სპეციალურ ადგილებში, სადაც ტურისტები და ჟურნალისტები არ (ან ვერ) შედიან. რაც შეეხება დუბაის, საამიროები საერთოდ „სავსეა“ ინდოელი, პაკისტანელი და ზოგადად უცხოელი „იაფი მუშახელის“ გეტოებით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და დასავლური მედია ძალიან ხშირად იუწყება ამ გეტოებში არსებული აუტანელი მდგომარეობის შესახებ.

**სინამდვილეში, როგორც საამიროების, ასევე სინგაპურის (და ასევე სხვა, ე.წ.“ახალი აზიური სასწაულების“ ) „ეკონომიკა“ სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ტერიტორიის უსიტყვო და უპირობო დათმობა ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის, რომლებსაც დიდი ენთუზიაზმით გადააქვთ თავიანთი ბიზნესი ასეთ ადგილებში.** გადააქვთ იმიტომ, რომ **ამ ქვეყნებში ფაქტობრივად არავითარი შრომის კოდექსი არ არსებობს. აქ მოქმედებს ზუსტად იგივე „ჯუნგლების“ კანონი, რომელიც დასავლეთში მოქმედებდა მთელი XIX და ნაწილობრივ XX საუკუნის განმავლობაში.** ევროპაში მომხდარმა დიდმა სოციალურმა რყევებმა საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ მსოფლიო ფინანსურ ელიტას ყურადღება გადაატანინა ნაკლებად განვითარებული რეგიონებისკენ, სადაც სიღარიბე და საკუთარი უფლებების სუსტი შეგნება იდეალურ ნიადაგს ქმნის ზუსტად იმ „შრომის ეთიკის“ აღორძინებისთვის, რომელმაც თავის დროზე უდიდეს სოციალურ კატაკლიზმებამდე მიიყვანა დასავლეთი. **ეს „ეთიკა“ გულისხმობს არა მხოლოდ მუშაობას ნებისმიერ ხელფასზე, არამედ არანორმირებულ სამუშაო დღეს და უსიტყვო მორჩილებას. ამას გარდა, ეს სისტემა დაინტერესებულია ისეთი დონის უმუშევრობისა და სიღარიბის არსებობაში, როცა ადამიანებს აზრადაც არ მოსდით საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა: ისინი ბედნიერები არიან უკვე იმით, რომ მუშაობენ და ამ „სამსახურისთვის“ ებრძვიან კიდეც ერთმანეთს.**



ცხადია, ასეთი სისტემის გადმოტანა საქართველოში მთლიანად „დაშლის“ ქართულ საზოგადოებას. დაშლის თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ასეთი პირობები უკვე აბსოლუტურად მიუღებელია ქართული ცნობიერებისთვის. ცნობიერებაში აქ ვგულისხმობ არა დღეს ასე დამცირებულ და გალანძღულ ქართულ ტრადიციებს, არამედ ზოგადად საზოგადოების ფსიქოტიპს, მის მიერ გამომუშავებულ შრომის ეთიკას, სამუშაო საათების დასაშვებ რაოდენობას და ა.შ. ამიტომ, თუკი საქართველოს „სინგაპურიზაცია“ მაინც განხორციელდება, ამ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას ელოდება ზუსტად ის, რაც მოხდა თავის დროზე თვითონ სინგაპურში და მოგვიანებით საამიროებში: ანუ **„ეკონომიკური სასწაულის“ წყალობით საქართველოში უმრავლესობა გახდება სხვა, „უფრო მშრომელი“ ხალხი, რომელიც თანახმა იქნება იმუშაოს თუნდაც 12 საათი დღე-ღამეში და გააკეთოს ეს მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ, ხოლო თვითონ ქართველები თანდათან გაიხიზნებიან ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც არ აქვთ პრეტენზია „მსოფლიოს ეკონომიკურ ცენტრობაზე“ და სადაც შედარებით მისაღები შრომის პირობებია (თუნდაც არალეგალური ემიგრანტებისთვის).** ეს პროცესი დღეს უკვე დაწყებულია, ამ პროცესის ბუნებრივი დასასრული კი შეიძლება იყოს საქართველოს გადაქცევა ისეთივე უსახო და „მულტიკულტურულ“ ტერიტორიად, როგორიც სინგაპურია. ამასთანავე, სინგაპურში ეს პროცესი შედარებით უმტკივნეულო იყო იმის გამო, რომ ამ ტერიტორიას არასდროს ახასიათებდა რაღაც განსაკუთრებული „ეთნოკულტურული კოდი“. ეს ქალაქი არის მალაიური სივრცის მხოლოდ პატარა ნაწილი, რომელიც დიდი ხნის წინათ, კერ კიდევ კოლონიზაციის ეპოქაში, ჩამოაშორეს საერთომალაიურ კულტურულ და პოლიტიკურ სივრცეს. ამიტომ იგი, ასე ვთქვათ, საუკეთესო „მასალა“ იყო ასეთი ექსპერიმენტისათვის, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია რა დაპირისპირებები შეიძლება მოყვეს ამგვარი ექსპერიმენტის განხორციელებას საქართველოში – ქვეყანაში, რომლის (სამწუხაროდ) თითქმის ერთადერთ სიმდიდრეს დღეს ისტორიული მემკვიდრეობა და ისტორიული კულტურა წარმოადგენს.

არადა ასეთი ექსპერიმენტის აუცილებლობა ნამდვილად არ არსებობს: ისტორიულად, თოთოეულმა ცივილიზაციამ გამოიმუშავა საკუთარი კულტურულ-გეოგრაფიული სივრცისთვის დამახასიათებელი „შინაგანი შრომის კოდექსი“, რომელიც ყველაზე კარგად ერგებოდა მოცემულ სივრცეს. თავისთავად მეტი მუშაობა არასდროს ნიშნავს მეტ წარმატებას: ცნობილია, რომ სამუშაო დღის ხანგრძლივობა აზიაში გაცილებით დიდია, ვიდრე ევროპაში, მაგრამ ამის გამო აზიელები არ არიან არც უფრო მდიდრები და არც უფრო ბედნიერები.

პირიქით! სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური შრომის დისციპლინა ძალიან ხშირად აუტანელია „იქაურებისთვისაც“ კი. ცნობილია, რომ ამ ქვეყნებში არსებობს სამსახურთან დაკავშირებული სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთელს მსოფლიოში. გადაღლა, სტრესი, დეპრესია, დამცირება და შეურაცხყოფა, მათგან გამომდინარე ყველა სავალალო შედეგით, აბსოლუტურად განუყოფელია ამ ქვეყნებში დღეს არსებული შრომის დისციპლინისგან, რაც სტატისტიკაში ყველაზე კარგად აისახება. შემთხვევითი არაა, როცა სინგაპურს არაოფიციალურად მსოფლიოს „თვითმკვლელობების დედაქალაქსაც“ უწოდებენ. ამ ქალაქ-ქვეყანაში მხოლოდ 2000-2004 წლებში, ანუ სულ ოთხი წლის განმავლობაში 1700 ადამიანმა დაამთავრა სიცოცხლე თვითმკვლელობით (ეს ერთი ქართული დაბის მოსახლეობაა, თან გაითვალისწინეთ, რომ სინგაპურისა და საქართველოს მოსახლეობაც დაახლოებით თანაბარია) სტატისტიკა ასევე იუწყება, რომ ამ თვითმკვლელობების გარდა, დაახლოებით 7-ჯერ მეტმა ადამიანმა სცადა თავის მოკვლა, მაგრამ გადარჩნენ (ხოლო თვითმკვლელობის მცდელობა სინგაპურში ციხით ისჯება!). მოგეხსენებათ, კარგი ცხოვრებისგან და ბედნიერებისგან ადამიანები იშვიათად იკლავენ თავს და ეს ფაქტიც თვალნათლივ ადასტურებს, თუ რამდენად ჰარმონიულია სინგაპურის მოქალაქეთა მდგომარეობა.

**არ შემიძლია ასევე არ აღვნიშნო, რომ ბედის ირონიით, თუ ისევ უცნაური და „საეჭვო“ დამთხვევის წყალობით, ეს ორივე ქვეყანა, ანუ სინგაპური და არაბთა გაერთიანებული საამიროები მთელს მსოფლიოში ცნობილნი არიან როგორც განსაკუთრებით უცნაური, ტურისტებისთვის უბრალოდ სასაცილო, ხოლო ადგილობრივთათვის ხშირად ტირანული და ალოგიკური კანონებით.**

მაგლითისთვის, საამიროებში ოფიციალურად აკრძალულია საკვების ან სასმელის მიღება რამადანის თვეში, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე (ეს გასაკვირი არც იქნებოდა ჩვეულებრივი არაბული ქვეყნისთვის, მაგრამ დუბაიში ამ კანონს უნდა დაემორჩილონ არა მხოლოდ მორწმუნე მუსლიმები, არამედ ის უცხოელი არამუსლიმი მუშებიც, რომლებიც „მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე“ თავაუღებლად მუშაობენ, ხოლო ღამე სულ რამდენიმე საათი აქვთ ძილისთვის. შესაბამისად ამ ხალხს იმის საშუალებაც არ აქვთ, რომ ელემენტარულად ფიზიკური ძალები აღიდგინონ).

**რაც შეეხება სინგაპურს, ამ ქვეყნის კანონები უკვე დიდი ხანია მსოფლიოში ანეკდოტების თემადაა ქცეული. აქ კანონს ეწინააღმდეგება ისეთი ქმედებები, როგორიცაა ფრინველების დაპურება(!?), საღეჭი რეზინის ღეჭვა,(!?) ხოლო უკანასკნელ პერიოდამდე ასევე ოფიციალურად იყო აკრძალული (მომიტევეთ ლექსიკისთვის და) ორალური სექსი(!!!).**

ამ უკანასკნელი „კანონის“ აბსურდულობა იმდენად აშკარაა, რომ საერთოდ კომენტარსაც არ საჭიროებს. ეს კანონები უბრალოდ ილუსტრაციის სახით მოვიყვანე, რადგან კანონი ძალიან ბევრს ამბობს იმ საზოგადოებასა და სისტემაზე, რომელიც მას გამოიმუშავებს. ამით მინდა ვუთხრა ჩვენს გზააბნეულ „ლიბერალებს“, რომ „მულტიკულტურული“ და „გლობალიზებული“ სინგაპურის კანონი იმაზე გაცილებით ღრმად „აფათურებს ხელებს“ ადამიანის სულში (და საწოლში), ვიდრე „ბნელი“ ქართული ტრადიციები.

მაგრამ დავანებოთ თავი უარყოფით მხარეებს. როგორც იტყვიან, ამ ქვეყანაზე ყველაფერს თავისი ფასი აქვს და „ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის“ შექმნასაც ალბათ „რაღაც“ უნდა შეეწიროს. მერე რა რომ ეს „რაღაც“ შეიძლება ქართული ენა ან სულაც ქართული ეთნოსი აღმოჩნდეს – როგორც ჩანს, არიან ადამიანები, რომელთათვისაც ეს ფასი მისაღებია. ამ ადამიანებს ეს სტატია ახალს არაფერს ეტყვის და მით უმეტეს, აზრს ვერ შეაცვლევინებს. იგი არც არის მათთვის განკუთვნილი. მე მინდა მივმართო იმ ადამიანებს, რომლებსაც გულწრფელად სჯერათ, რომ დუბაი და სინგაპური მხოლოდ ცათამბრჯენები და შადრევნებია. **მინდა ვკითხო ამ ადამიანებს, უფიქრიათ თუ არა იმაზე, რა ფასი უნდა გადავიხადოთ „სინგაპურობისთვის“? და თუ უფიქრიათ, რამდენად მისაღებია მათთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეთათვის, ეს ფასი?**

მინდა ვთხოვო მათ, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ. იქნებ არ ღირდეს ყველაფრის გაწირვა მხოლოდ კუჭის ამოვსებისთვის, რომელიც, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მაინც ცარიელი დარჩება.

**ზვიად ავალიანი**

საზღვარი

# რით ვერ გაძლა ეს რუსეთი!

**რუსების მიერ გაგრის მიმდებარე ტერიტორიების მითვისების შემთხვევაში აფხაზეთსა და რუსებს შორის ომის დაწყება გამორიცხული არ არის. ამის შესახებ ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ აფხაზურ-რუსული ე.წ. სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხებისადმი მიძღვნილი სხდომის შეფასებისას განაცხადა.**

„ამ მიმართულებით აფხაზეთში მართლაც სერიოზული პრობლემებია. აღნიშნული საკითხის განხილვის დაწყებას აფხაზური მოსახლეობის და პოლიტიკური პარტიების მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა“, – აღნიშნა დავითაიამ და დასძინა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აფხაზებსა და ქართველებს შორის პოზიციების თანხვედრაა.

მისი თქმით, საუბარი ეხება რუსებისთვის გუდაუთის ტერიტორიიდან რიწის გადასახვევის შემდეგი ტერიტორიების, მათ შორის რიწის ტბის გადაცემას.

„თუ სეპარატისტები ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ, აფხაზები საკუთარი ტერიტორიის დასაცავად იარაღს აიღებენ და რუსებს და აფხაზებს შორის ომი გარდაუვალი იქნება“, – დასძინა დავითაიამ.

დეპუტატის შეფასებით, აფხაზებმა უნდა გაიგონ, რომ რუსეთის მიზანი აფხაზეთის დამოუკიდებლობა არ ყოფილა და მათ ერთადერთ მიზანს სწორედ აფხაზეთის ტერიტორიის მითვისება წარმოადგენდა.

მოსკოვში სს სამინისტროში ე.წ. რუსულ-აფხაზური ორმხრივი კომისია იქმნება, რომელიც „რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის არსებული სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სამუშაო საკითხებს განიხილავს“.

ინფორმაცია

## მაკულატურა ბუნებრივ რესურსებს დაიცავს

**აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, აქცია „მწვანე ყუთის“ ფარგლებში, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრს 1,5 ტონა მაკულატურა გადასცა. მაკულატურის გადაცემის პროცესს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე – ერეკლე ღვინიანიძე და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე – ანა საბახტარიშვილი დაესწრნენ.**

**აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილის – ერეკლე ღვინიანიძის თქმით, აღსრულების ეროვნული ბიურო პროექტ „მწვანე ყუთის“ მხარდაჭერას მომავალშიც გააგრძელებს და სპორტისა და ახალგაზრდული სამინისტროს მიერ ორგანიზებულ აქციას ტერიტორიული ბიუროების მასშტაბით შეუერთდება.**

**აქციაში „მწვანე ყუთი“ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მონაწილეობა მეორედ მიიღო. პროექტის ფარგლებში, აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა დაახლოებით ერთი თვის წინ ქაღალდის გადამამუშავებელ საწარმოს შპს. „ლ.მ.ს.“-ს შემდგომი გადამუშავების მიზნით, 1500 კგ მაკულატურა გადასცეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

მრისხანებითა და ტკივილით თქმული

# შაშკინის „ლინგვისტური რევოლუცია“,

## ანუ „კრემლმა უკან დაიხია“...

**საქართველოში ლინგვისტური რევოლუცია მოხდა! ზუსტად ასე უთქვამს საქართველოს განათლების მინისტრს, რაც დიდის ამბით გვამცნო ტელეიმედმა. ამიტომ ვიხმარე პირველი წინწკლები სათაურში – აბა ექსკლუზივში ხომ არ შევეცილებოდი „გენიალური“ ტერმინის (და არა მხოლოდ ტერმინის, არამედ მგონი საერთოდაც, რევოლუციის ავტორს, მაგრამ ამაზე ქვემოთ) ავტორს და ამით პლაგიატს ხომ არ ჩავიდენდი?**

**რას აღარ გაიგონებ კაცი ამ „გამოსოროსებულ“ საქართველოში...**

„დემოკრატიის“ ექსპორტიორმა გლობალისტებმა მთელი მსოფლიო ხომ „შაალონეს“ ე.წ. ფერადი რევოლუციებით?! როცა მამაძაღლი სოროსის ნაგრამმა ლეკვებმა ბოტანიკაში ლამის მცენარე აღარ დატოვეს მისი სახელოვნების რევოლუცია არ ეჩუქებინოთ სხვა, ჩვენსავით „ჩამორჩენილ-ბნელი“ ხალხებისათვის.

ჰოდა, უკრაინელების ფორთოხლების, ყირგიზების ტიტების და აგერ სულ ახლახან, ტუნისის ჟასმინების დედაც... ვითომ ჩვენ ჩვენი „ვარდები“ არ გვეყოფოდა, ახლა „ლინგვისტური რევოლუციაო“, ამ „ფრახმა“ შაშკინმა, ამანა! ანუ, წლევანდელ აბიტურიენტთა უმრავლესობას უმაღლეს სასწავლებლებში საგამოცდოდ, უცხო ენა ინგლისური აურჩევიათ და მხოლოდ უმცირესობამ (24 %ძ რუსულიო. რაც თავის მხრივ იმას ნიშნავსო, რომ რუსული ენის გავლენამ იკლო საქართველოში, ხოლო აქედან „ლოგიკურად“ ასკვნის – რაც უფრო მცირდება რუსული ენის მცოდნეთა რაოდენობა, მით უფრო მცირდება და სუსტდება კრემლის გავლენა საქართველოში, „მეხუთე კოლონის დასაყრენის შექმნა გაუჭირდებათო“, – ზუსტად ასე ბრძანა ამ ლინგვისტურმა რევოლუციონერმა.

სწორედ ამან, შაშკინის მიერ დანახულმა კრემლის გავლენის შემცირების ტენდენციამ გამახსენა კიდევ ერთი ანეკდოტური ამბავი საქართველოს უახლესი ისტორიიდან და მეორე წინწკლებიც ამად ვიხმარე წერილის სათაურში. გახსოვთ, ალბათ, თუ როგორ მოვაქციეთ დიდი რუსეთი ეკონომიკურ ბლოკადაში პატარა სამტრედიის რკინიგზის გადაკეტვით, რის შემდეგაც, ამბოხებულ საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა სისტემის ინერციით შემომავალი მილიარდობით მანეთის ტვირთების შემოდინება დროზე ადრე შეწყდა. ჩვენ კი რუსთაველზე გვახარეს, კრემლმა უკან დაიხიაო!

არ ჰგავს ის, 20 წლის წინანდელი „კრემლის უკან დახევა“ დღევანდელ, შაშკინისეული „ლინგვისტური რევოლუციის“ შედეგად, კრემლის გავლენის შემცირებას? მე თუ მკითხავთ ჰგავს და მეტი არა? აჭარბებს კიდეც! რადგანაც მაშინდელი ეროვნული მოძრაობიდან მოსულ ხელისუფლებას გულწრფელად სჯეროდა ის, რაც დღეს სასაცილოდ გვეჩვენება. ეს გულწრფელობა კი სამშობლოს, მამულის წრფელი სიყვარულიდან მოდიოდა და ამიტომ იქნებ ეპატიებათ (თუ ვერ გავამართლებთძ კიდეც სიყვარულით დაშვებული შეცდომები!

ეს შაშკინი კი ვინმემ იცის საიდან მოვიდა, რა აღმსარებლობის ბრძანდება? ვინმეს გაუგია საქართველოს განათლების მინისტრის(!!!ძ პირიდან: სამშობლო, მამულიშვილი, ქართველი ერი და ა.შ. ყოველი ქართველისთვის საკრალური მნიშვნელობის სიტყვები? ვის ჩავაბარეთ ჩვენი შვილების მომავალი? კაცს, რომელმაც სკოლები ციხეებად აქცია და მანდატურებად წოდებული, სინამდვილეში კი „პოლიციელებით“ გაავსო, რომლებსაც, მათ მიერვე შევიწროვებულ-დასმენილ-შეურაცხყოფილი სკოლის დირექტორების მაგივრადაც კი ნიშნავს?

ან საერთოდ რა უაზრობა, აბდაუბდაა ეს ე.წ. „ლინგვისტური რევოლუცია“? ლინგვისტიკა, როგორც აქამდე ვიცოდი, ენათმეცნიერებას ნიშნავს, ანუ რევოლუცია შეიძლება მართლაც მოუხდენია ვინმე ლინგვისტს რომელიმე ენაში რაიმე ფუნდამენტურის აღმოჩენით. მაგრამ ელემენტარულ, აღვირახსნილ, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილ რუსოფობიას, რევოლუცია და თანაც ლინგვისტური შეიძლება უწოდო? კარგი, ეს არ იცის და არც უნდა იცოდეს შაშკინის „ბაგაჟის“ პატრონმა, მაგრამ იმ „მიშავიზიებში“, რომლებმაც აიტაცეს შაშკინის „ნოუჰაუ“, იქაც არავინ იყო მასზე ოდნავ მეტად ნაკითხი?

ესაო (ლინგვისტური რევოლოცია. **ავტ.**ძ იმის დამსახურებაა, ინგლისურის (გარყვნილი. **ავტ.**ძ მასწავლებლები რომ ჩამოვიყვანეთო (ჩამოათესლეს. **ავტ.**ძ! უნებურად „გაუსკდა ფურუნკული“ ამ მართლაც ფურუნკულს ამას. და მერე მოჰყვა პროპაგანდისტული ტყუილების ნაცნობი კასკადი. რომ ეს რევოლოცია იმ სიკეთის გარდა, კრემლმა უკან რომ დაიხია, მომავალში იმასაც ნიშნავს, რომ ინგლისურად მოჟღურტულე ჩვენი შვილები უფრო ხარისხიან განათლებას მიიღებენ, რადგანაც თურმე მხოლოდ ამ ენაზე იბეჭდება ყოველივე ახალი და პროგრესული. კომპიუტერი ხომ არის და არის შექსპირის ენაზეო.

თანამედროვე სამეცნიერო თუ ე.წ. ტექნიკური ლიტერატურა აბსოლუტურად ყველაფერი, რუსულ ენაზეც მოიპოვება. უფრო მეტიც, „ც“ კი არა, ხშირ შემთხვევაში ასეთი ლიტერატურის დედანი სწორედ რუსული ენაა.



რადგანაც ჯერ კიდევ საბჭოეთის დროინდელი სამეცნიერო სკოლა, დღესაც ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში. სკოლა, რომლის ერთ ღირსეულ, ავტორიტეტულ ნაწილად ქართული სამეცნიერო სკოლაც განიხილებოდა მანამ, სანამ გიგა ბოკერიას უშუალო ძალისხმევით არ დაანგრიეს ქართული მეცნიერების აკადემია!

აღარაფერს ვიტყვი რუსოფობი ნაცების მიერ ათვალწუნებულ დიდ რუსულ მხატვრულ ლიტერატურაზე, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ზოგადად მსოფლიო კულტურაზე საუბარიც კი.

რაც შეეხება კომპიუტერიზაციას, წინამდებარე წერილი სწორედ „რუსულენოვან“ კომპიუტერზე იკრიფება და არც ამავე ენაზე ინფორმაციის ნაკლებობას ვუჩივი ინტერნეტში.

თუმცა ბოლოს ერთი რამ მინდა ვკითხო ჩვენს ლინგვისტ-რევოლუციონერ მინისტრს. კაი ბატონო, დავუშვათ რომ ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები სხვა არაფერია, თუ არა კრემლის აგენტის მონაჩმახი და მთელი მსოფლიო ინგლისურად ჟღურტულებს. რა ენაზე უნდა იკონტაქტონ ჩვენმა შვილებმა მსოფლიოს 1/6-ზე გადაჭიმულ მტერ, მაგრამ მაინც მეზობელ სახელმწიფოსთან, ანუ, რუსეთთან, რომელიც ნაცებისა და მათი ტვინგაცხელებული დასავლელი მფარველების ოცნების მიუხედავად, არც დაშლას აპირებს და პირიქით, დღითი დღე ძლიერდება!!!

ან იგივე, რა ენაზე უნდა ველაპარაკოთ თუნდაც საქართველოს მოქალაქე, კომპაქტურად მოსახლე სომხებს ჯავახეთში და აზერბაიჯანელებს ქვემო ქართლში, იმ ფონზე, რომ მათ ჯერჯერობით ვერა და ვერ ისწავლეს სახელმწიფო ენა – ქართული? ჩვენ, ქართველები „ერთ მშვენიერ დღეს“, შაშკინების საოცნებოდ მართლაც რომ ავტლიკინდეთ ინგლისურად და საკუთარი ქართული დავივიწყოთ, არა მგონია, იგივე სურვილი სომხებს და აზერბაიჯანელებსაც გაუჩნდეთ. ხალხს, რომელთაც უძლავრესმა, ჯერ ცარისტულმა და შემდეგ საბჭოურმა რუსულმა პროპაგანდამ ვერ დაავიწყა საკუთარი ენა და რუსულიც იმ საყველპურო დონეზე იციან, რაც საჭიროა ქართველებთან ელემენტარული კომუნიკაციისათვის.

ეგეც არ იყოს, მთელს, უზარმაზარ ე.წ. პოსტსაბჭოთა სივრცეზე, კიდევ ძალიან, ძალიან დიდხანს იქნება რუსული ენა ერთადერთი საურთიერთო ენა ამ ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნებებს შორის!!!

და ბოლოს იმაზე, რითიც დავიწყეთ. ამ შემთხვევაში მინისტრს აღარ მივმართავ, რადგან მაგისთანებთან კამათი „შეაყარე კედელს ცერცვი“ და „წყლის ნაყვა“ მგონია. ამიტომ მკითხველებს მივმართავ: საქართველოს დღევანდელ რუკას დავხედოთ და დავინახავთ,სინამდვილეში „კრემლმა უკან დაიხია“ თუ კრემლმა „დაიხია“ საქართველო?!

**დავით მხეიძე**

ალაზანი კალაპოტს იცვლის!

# საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგებმა აზერბაიჯანთან 293 ჰექტარი შეადგინა

**საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგებმა აზერბაიჯანთან 293 ჰექტარი შეადგინა, - ამ სათაურით აქვეყნებს კახეთის საინფორმაციო ცენტრი სტატიას, რომელშიც ავტორი კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) საქართველო - აზერბაიჯანის საზღვრის ტრანსფორმაციის შესახებ დასკვნას იყენებს.**

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENNძ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ტრანსფორმაციის შესახებ დასკვნა გამოაქვეყნა. დასკვნის მიხედვით, სასაზღვრო ზოლის ალაზნის მონაკვეთზე გამოვლენილია ტერიტორიული ცვლილების 69 ადგილი. აქედან, 42 შემთხვევაში ფაქტობრივი საზღვარი გადმონაცვლებულია საქართველოს მხარეს და მხოლოდ 27 აზერბაიჯანის საზიანოდ. საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგებმა დაახლოებით 293 ჰექტარი შეადგინა.

CENN-ის ცნობით, აზერბაიჯანის მხარეზე ეს მონაცემი 224 ჰექტარს არ აღემატება (აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის მთავრობა საქართველოს მთავრობისგან განსხვავებით, ალაზანს აქეთ დარჩენილი ტერიტორიების დიდ ნაწილს აკონტროლებს. – **ავტ**ძ ამასთან, ადგილზე მდინარის სწორი უბნების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ საფუძვლიანი საველე კვლევების ჩატარების შემდეგ, ეს სხვაობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრის 19,6% (415,15 კმძ 23 დასახელების დიდ და პატარა მდინარეზე გადის. აქედან ყველაზე გრძელი მონაკვეთი (190,25 კმძ მდინარე ალაზანზე მოდიოდა. მდინარის ეს მონაკვეთი ჩვენი ქვეყნის აზერბაიჯანთან თანამედროვე საზღვრის (478,42 კმძ 40,2% შეადგენდა და, ისე როგორც საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრის დანარჩენი უბნები, ხშირი ცვლილებებით ხასიათდებოდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ზაქათალის ოკრუგი თბილისის გუბერნიაში შემოდიოდა, მაგრამ უკვე დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ადერბეიჯანის (აზერბაიჯანისძ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დადებული (12.06.1920ძ საზავო ხელშეკრულებით ამ ტერიტორიაზე კონდომინიუმი (ერთობლივი მფლობელობაძ გამოცხადდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ უბანზე საქართველო-აზერბაიჯანის ადმინისტრაციულმა საზღვარმა მდინარე ალაზანზე გადმოინაცვლა და იგი უბრალო გამიჯვნის პრინციპით იქნა გატარებული. შემდეგ ამან ამიერკავკასიის (თბილისი, 1938ძ რესპუბლიკების ხელმძღვანელთა კონფერენციაზე (1:500 000 მასშტაბის რუკაზეძ შეთანხმების ხელმოწერის შედეგად საქართველოს საზღვრის სტატუსი მიიღო. აქედან გამომდინარე ის ტერიტორიის სამეურნეო დაყოფის საფუძველზეა გატარებული, რის გამოც მისი მდებარეობა ადგილზე დაზუსტებული არ არის და ხშირად გაუგებრობის მიზეზი ხდება. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ დღის წესრიგში დააყენა ამ უბნების დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხი.

საზღვრების სადელიმიტაციო ორმხრივი სამთავრობოთაშორისი კომისია 17 წელია მუშაობს, თუმცა ორ ქვეყანას შორის საზღვარი დადგენილი არ არის. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, სადაო ტერიტორიებად რჩება დავით გარეჯი და სოფელი ერისიმედი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის რეზო თოლორდავას თქმით, საქართველოს მხარეს მეტი ტერიტორიული დანაკარგები ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებითაა განპირობებული. **„მდინარე ალაზნის წყალშემკრები აუზის მარცხენა მხარე, ატმოსფერული ნალექების რაოდენობით, მკვეთრად აღემატება მარჯვენას; საზღვრის მარცხნივ მდებარე ტერიტორიაზე გაცილებით მაღალი ჰიპსომეტრული სხვაობა ფიქსირდება, ვიდრე მარჯვენაზე; ადამიანის სამეურნეო მოქმედებები (არხების გაჭრა, კალაპოტის გადაკეტვა და სხვ.) მდინარეზე, როგორც მოძრავ სხეულზე, მოქმედებს კორიოლისის ძალა, რომელიც აიძულებს მდინარე ალაზანს გადაიხაროს მარჯვნივ“,** – ამბობს თოლორდავა.

მისივე თქმით, ზემოთ ჩამოთვლილი პირველი პირობა ხელს უწყობს მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადებში მყარი ნატანის დიდი რაოდენობით ჩამოყალიბებას, რომელიც თავის მხრივ თავს იყრის მეანდრეების ე.წ. ყელებზე და იწვევს მათ გადაკეტვას. ასეთ ადგილებში მდინარე იცვლის მიმართულებას და ხდება ახალი კალაპოტის ფორმირება. **„ასეთი სახის გარდაქმნები სასაზღვრო ზოლის ალაზნის მონაკვეთის მთელ პერიმეტრზე უხვად ფიქსირდება. გარდა ამისა, ტერიტორიული ცვლილებები კალაპოტის სწორ ადგილებშიც შეინიშნება, თუმცა მათი შემჩნევა რუკებზე სივიწროვის გამო (20-25მ.) პრაქტიულად შეუძლებელია და აეროფოტოგადაღებების ჩატარებაა აუცილებელი“,** – აღნიშნავს რეზო თოლორდავა.

**ჯი-ეიჩ-ენი**



SIC!

# AU-PAIR – ძიძობა ევროპაში

**ძიძების პროგრამა AU-PAIR-ით ევროპაში წასული ქართველი ახალგაზრდები გაუსაძლის პირობებზე ჩივიან. გოგონამ, რომელიც „ინტერპრესნიუსს" დაუკავშირდა, ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა. საგანგებო წერილი გოგონამ სააგენტოს რამდენიმე დღის წინ გამოუგზავნა.**

„ვიცი, რომ ძალიან ბევრი პრობლემა შემექმნება, თუ ჩემს სახელსა და გვარს მიუთითებთ... ეს ყველაფერია, ძიძების პროგრამის ვარდა: ახალგაზრდებს, პროგრამით გათვალისწინებული 5 საათის ნაცვლად, 12 საათი უწევთ მუშაობა, ოჯახები მათ, ბავშვების მოვლასთან ერთად, ისეთ რამეებსაც ავალებენ, რაც მათ მოვალეობაში არ შედის. აქ ქართველი ახალგაზრდები ძიძები კი არა, პრაქტიკულად მოსამსახურეები არიან", – აღნიშნა გოგონამ.

მისივე თქმით, ის და რამდენიმე ახალგაზრდა ავსტრიასა და გერმანიაში კერძო პირის, ლელა თევდორაძის დახმარებით გამგზავრა.

„ეს ადამიანი 8 წელია, ასეთი პროგრამით უშვებს ახალგაზრდებს ევროპაში. მასთან მიდის პირი, ეუბნება, რომ არ იცის გერმანული, თევდორაძე კი აგვარებს ყველა საკითხს, იღებს რა ამისთვის გარკვეულ თანხას. გასაკვირი ის არის, რომ პრობლემა მხოლოდ იმათ შეექმნათ, ვინც ამ ქალის დახმარებით აღმოჩნდნენ ევროპაში. ვიცი, რომ ათეულობით ქართველი ახალგაზრდაა ძიძად გერმანიაში, მაგრამ არც ერთ მათგანს ისეთი პრობლემა არ შექმნია, როგორიც – ჩვენ", – აღნიშნა გოგონამ.

მისივე განცხადებით, ლელა თევდორაძე ხშირ შემთხვევაში მის მიერ გაგზავნილი ახალგაზრდების სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. „მას შემდეგ, რაც ჩამოვედით და ვნახეთ, რა ვითარებაც დაგვხვდა, ვცადეთ ლელასთან დაკავშირება. პირდაპირ გვითხრა: შევეგუებით ან საქართველოში დაბრუნდებითო. შვებით შემთხვევაში კი, ჩვენს ზარებს საერთოდ არ პასუხობს. აქ ითითოეული ჩვენგანი პრობლემებით და საქართველოში არსებულმა ვითარებამ ჩამოიყვანა. ამიტომაც იძულებულნი ვართ, შევეგუოთ. თან ჩამოსასვლელად პირადად მე 1400 აშშ დოლარი ვისესხე და ეს ფული პატრონს ხომ უნდა დავუბრუნო", – აღნიშნა „ინტერპრესნიუსის" ანონიმურმა წყარომ.

აღმოჩნდა, რომ გოგონას ერთწლიანი ვიზის ნაცვლად, 9-თვიანი ვიზა აქვს აღებული. „გამგზავრებისას მითხრა, რომ ერთწლიანი ვიზა მეძლებოდა, თუმცა ახლა გაირკვა, რომ ავსტრიაში მხოლოდ 9 თვით შემიძლია გაჩერება. ახლა, სხვებთან შედარებით უკეთესად ვარ და ორ ადგილას ვმუშაობ, მაგრამ ფაქტობრივად იმ სამი თვის განმავლობაში, რომელიც მაკლდება მოქმედი ვიზის მიხედვით, 1400 ევროს გამომუშავება შემეძლო", – თქვა გოგონამ.

მისივე განცხადებით, ლელა თევდორაძის მიერ გაგზავნილ ქართველ ახალგაზრდას 2 დღის წინ აეროპორტში ოჯახი არ დახვედრია. „დაგვირეკა ამ ბიჭმა და გვითხრა, რომ სულ რაღაც 10 ევროთი ჩავიდა გერმანიაში, აეროპორტში კი ის ოჯახი არ დახვედრია, სადაც ძიძად უნდა ემუშავა. ახლა არც კი ვიცით, სად და როგორ არის. თევდორაძემ იმით ისარგებლა, რომ უმეტესმა ჩვენგანმა გერმანული არ იცოდა, გერმანიის საელჩოში გასაუბრებაზე საჭირო ორიოდ სიტყვა კი ვიცოდით, მაგრამ ფაქტია, რომ ლელამ ამით ისარგებლა", – აღნიშნა „ინტერპრესნიუსის" წყარომ.

მისივე თქმით, გერმანიაში AU-PAIR პროგრამით მომუშავე ქართველი ახალგაზრდები ყოველთვიურად შრომითი ანაზღაურების სახით 400 ევროს, ავსტრიაში მომუშავეები კი 270 ევროს იღებენ.

„ინტერპრესნიუსი" ლელა თევდორაძეს დაუკავშირდა. მან ყველა ბრალდება უარყო და მეტიც, აღნიშნა, რომ ევროპაში ჩასულ ქართველ ახალგაზრდებს ამბიცია აქვთ, გერმანული ოჯახებისგან მაქსიმალური სარგებელი მიიღონ.

„თქვენი რესპონდენტის მიერ ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან წასვლამდე მათ კონტრაქტის პირობებს ქართულ ენაზეც გადახედეს და იცოდნენ, რომ გერმანიასა თუ ავსტრიაში გარკვეული პირობების შესრულება მოუწევდათ.

შეჩვევის პირველი ორი-სამი კვირა ყველას აქვს და მათ ამ დროს სიტუაციაში გარკვევა სჭირდებათ, თუ ამ რთულ პერიოდს გადალახავდნენ, ყველაფერი კარგად იქნებოდა. თუ რამე სერიოზული პრობლემა შეექმნათ, მათ შეეძლოთ ჩემთან დაკავშირება და ყველაფრის ახსნა, თუმცა ჩემთან არავის დაურეკავს – არც ერთს არ უცდია ჩემთან დაკავშირება", – აღნიშნა თევდორაძემ.

მისივე თქმით, დაინტერესებულ პირებს გერმანულ ენაში გოეთეს ინსტიტუტის სერტიფიკატის მისაღებად ამზადებს და თან მათთვის ოჯახებს ეძებს.

„წლებია, არაერთ გერმანულ ოჯახთან მაქვს ურთიერთობა და ისინი თავად მთხოვენ, რომ დავაკავშირო ისეთ ახალგაზრდებთან, რომლებიც მზად იქნებიან ამ პროგრამაში ჩაერთონ.

ინფორმაცია იმაზე, რომ ერთ-ერთ გოგონას თავში ფეხსაცმელი ჩაარტყეს ერთ-ერთ ოჯახში, ჩემამდე არ მოსულა.

საოჯახო საქმეებში მიხმარება ნებისმიერი კონტრაქტით არის გათვალისწინებული, მინდა გითხრათ, რომ ყველა აუ-პაირ პროგრამაში მსგავსი რამ ნამდვილად არის გათვალისწინებული. თუ თვითონ არიან ისეთები, რომ მტვრის გადაწმენდვას ორი საათი უნდებიან, ეს ნამდვილად მათი პრობლემაა. სიმართლე ვთქვათ, ბევრი ახალგაზრდა მიდის იმის იმედით, რომ ძალიან მარტივად გამოძვრება სიტუაციიდან – როცა ოჯახში მიდიან, იმ ოჯახის წევრები უნდა გახდნენ და აკეთონ ყველაფერი, რასაც ჩვეულებრივად, საკუთარ სახლებში აკეთებენ-ხოლმე, ისინი კი, ცდილობენ, მაქსიმალური სარგებელი მიიღონ გერმანელებისგან. ამიტომაც ვურჩევ, რომ შეცდომა საკუთარ თავში ეძებონ", –აღნიშნა თევდორაძემ.

მისივე თქმით, თუ ვილაცას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, მაშინ აუცილებლად მიმართავს იმ სააგენტოს, რომელმაც დაზარალებულ ქართველ ახალგაზრდას ოჯახი მოუძებნა.

„საკითხს სავიზო სამსახური შეისწავლის და თუ ფაქტი დადასტურდა, პირველ ეტაპზე, ოჯახი გაფრთხილებას მიიღებს, მსგავსი რამის გამეორების შემთხვევაში კი უცხოელი ახალგაზრდის მიღება აეკრძალება. თუმცა, აქ მეორე მხარეა, რამდენად მართალს ამბობენ ამ შემთხვევაში წასულები? ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა გოგოები თუ ბიჭები სიტაუციას შეგნებულად ამუქებენ, რომ თავი გაიმართლონ სავიზო განყოფილების წინაშე და ევროპაში დარჩენის სხვა ალტერნატიული საშუალება მიიღონ. ერთმა ბიჭმა მითხრა, რომ სავიზო განყოფილებაში მასპინძელ ოჯახს ლანძღვა დაუწყო იმის იმედით, რომ აუ-პაირ პროგრამაში მის მონაწილეობას წერტილს დაუსვამდნენ, გერმანიაში დატოვებდნენ და პირდაპირ უნივერსიტეტში შეძლებდა წასვლას, არადა, პირიქით მოხდა – დღეს ეს ბიჭი თბილისშია: ისე ჩამოვიდა საქართველოში, რომ ვერც ისწავლა და კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს გერმანიაში ჩასვლას", – თქვა თევდორაძემ.



მან ახალგაზრდის ბრალდებას ბრალდებითვე უპასუხა:

„ეს არის 2-3 ადამიანის მიერ მოწყობილი პროვოკაცია, რომელთაც შური და წყენა ამოძრავებთ. ზუსტად ვიცი, რატომ არის ერთი გოგონა ჩემზე განაწყენებული: რატომ არ დამიცავიო გერმანულ ოჯახთან დავის დროს და ჩემი სიტყვები რატომ არ გაიმეორეო. მხარს როგორ დავუჭერდი, როცა აბსოლუტურ სიცრუეს ამბობდა.

დაინტერესებული პირებისგან გერმანულ ენაში მომზადების ანაზღაურებად ყოველთვიურად 120 ლარს ვიღებ, ამასთან, ახალგაზრდები საელჩოში გასაუბრების დროს იხდიან ოფიციალურ მოსაკრებელს – დაახლოებით 150 ლარს, ასევე ბილეთსაც საკუთარი ხარჯებით ყიდულობენ. იყო ასეთი შემთხვევა, როცა ოჯახმა გადაწყვიტა საკუთარი ქართველი აუ-პაირისთვის ბილეთი შეეძინათ, გამოგზავნეს კიდეც, ეს გოგო ჩავიდა და ორ დღეში აღარ მოუნდა მათთან გაჩერება. ეს ბილეთი ხომ საჩუქარი არ არის, ის უნდა გამოიმუშაოს ოჯახში ყოფნის დროს. იყო ასეთი უსიამოვნო ფაქტიც: ერთ-ერთი გოგონა ჩავიდა, ოჯახს საერთოდ არ ევალებოდა მისი ენის კურსების დაფინანსება, მიუხედავად ამისა, მათ ფული გადაიხადეს, 150 ევროს ღირებულების წიგნებიც უყიდეს, მან კი გამოუცხადა, არ მაინტერესებს თქვენი გერმანულის სწავლაო. წყობილებიდან გამოსული ოჯახის წევრებმა სააგენტოში დარეკეს, სააგენტო კი მე დამიკავშირდა. კიდევ ერთი, ცოტა ხნის წინათ დამირეკეს ერთ-ერთ ქართველ ბიჭზე – ნიკაზე, აღმოჩნდა, რომ ოჯახს არც ბავშვის მოვლაში, არც საოჯახო საქმეებში არ ეხმარება, ეწევა და ა.შ. ცინიკურად ესაუბრებოდა თურმე, არ მაინტერესებს გერმანიაო. მე ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ეწეოდა და ტაქსისტების „გადამგდები" იყო, საქართველოში ყოფნის დროს არაფერი ეტყობოდა ამის მსგავსი და მთხოვდა, ოღონდანც დამეხმარე, წავიდე აქედანო.

ნებისმიერ პირს შეუძლია, ოჯახი სხვის დაუხმარებლად მოძებნოს და წავიდეს გერმანიასა თუ ავსტრიაში, მაგრამ დაინტერესებული პირები მთხოვენ, რომ მე ვიყო შუამავალი. წლებია, ამ სააგენტოებთან მაქვს ურთიერთობა და მენდობიან. მეუბნებიან, ახალგაზრდამ გამოგვიგზავნა თავისი მონაცემები და იქნებ, შენც ნახოო. ეს არის და ეს სულ ჩემი ფუნქცია.

და კიდევ ერთი, ვიცი, იმ განაწყენებულ გოგონებს რაც ალაპარაკებთ: მე 20 წლის ვიყავი და სააგენტოები უკვე მენდობოდნენ, გერმანიაში 24-25 წლის გოგონებს ვუშვებდი. მათი მშობლები კი შვილებს ეუბნებოდნენ, თუ ამ 20 წლის გოგოს შეუძლია დამოუკიდებლად გაართვას თავი და წავიდეს უცხოეთში, თქვენ რაღა გჭირთო. ბუნებრივია, ამ წყენას და შურს ჩემთან მეცადინეობის დროს ვერ გამოხატავდნენ, ამიტომაც ცდილობენ, რომ შორიდან მომიარონ", – აღნიშნა თევდორაძემ.

სიტუაციაში გასარკვევად „ინტერპრესნიუსი" კიდევ ერთ პირს – ზვიად ბიაშვილს დაუკავშირდა, რომელსაც ლელა თევდორაძის დახმარებით გერმანიაში გამგზავრება და ძიძობა უცდია.

„ლელამ მითხრა, რომ გერმანიაში 700 დოლარად გაგიშვებო. გასული წლის მარტში 25 წელი მისრულდებოდა და მინდოდა, ამ დრომდე წავსულიყავი გერმანიაში "ოპერად". პირველ ეტაპზე გამომართვა 100 დოლარი, მითხრა, ოჯახი მოგიძებნეო. ველაპარაკებოდი კიდევაც მათ: ბავარიის მიწაზე არის ასეთი ქალაქი ბოდენმაისი, ჩემი მომავალი მასპინძლები კაემნიკები იქ ცხოვრობდნენ. პირველ ეტაპზე კი მეუბნებოდნენ, არავითარი პრობლემა არ არის და ჩამოდიო, ბოლოს კი გადაიფიქრეს და მითხრეს, საერთოდ აღარ გვჭირდება აუ-პაირიო. ლელა თევდორაძემ მითხრა: არ იდარდო, ავსტრიაში აუ-პაირად წასვლა 27 ასაკამდე შეიძლებაო და იქ მოგიძებნი ოჯახსო. დავთანხმდი, თან მითხრა, რომ ავსტრიის საელჩო საქართველოში არ იყო და სტამბულში უნდა წავსულიყავი. თუმცა, კაემნიკების ოჯახი რომ მიშოვა, ლელამ ის 700 დოლარი სრულად მიმატანინა, მითხრა, მე მექნებაო. ნუ, ეს ფულიც ნასესხები მქონდა, თუმცა ეს მისი პრობლემა ნაკლებად იყო. სულ ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ ვერსად ვერ წავედი – მითხრა, ავსტრიაში აუ-პაირ-ბიჭები არ სჭირდებათო. ვუთხარი, თუ იცოდი ამის შესახებ, რაღას მაწვალე-მეთქი.მომიბრუნდა და მითხრა, 700 დოლარიდან 150 დოლარს დამიტოვებო, დანარჩენი წაიღეო, გერმანიის საელჩოში საბუთების მოსამზადებლად დავხარჯე ეს თანხაო. ამაზე უარი ვუთხარი და სრული თანხის დაბრუნება მოვსთხოვე... ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მეუბნებოდა, ჩამოდი და თბილისში მოგცემო თანხას, ვიცოდი, რომ რაღაც პროვოკაციას მომიწყობდა და ამიტომ არ ჩამოვედი, მოვთხოვე ფული ბანკით გადმოეგზავნა. მერე ვიღაც „შავებს" დაარეკინა და დამემუქრა. ეს ყველაფერი ჩაწერილი მაქვს და ნებისმიერ წუთს შემიძლია წარმოვადგინო. როგორც იქნა, ბანკით თანხა გადმოგზავნა და ჩემი კუთვნილი ფულიც მივიღე. ასე დასრულდა ჩემი და ლელას ურთიერთობა", – აღნიშნა ზვიად ბიაშვილმა.

საქართველოდან ევროპაში ძიძობის მსურველების გამგზავრება გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. AU-PAIR პროგრამის ძირითადი სამიზნე ქვეყნები არიან გერმანია და ავსტრია.

პროგრამის ერთ-ერთი მონაწილე დავით დოლიძე „ინტერპრესნიუსთან" საუბარში ადასტურებს, რომ ხშირად ესმოდა ქართველი ახალგაზრდებისგან ჩივილი გაუსაძლისი პირობების შესახებ. მის მიერ ჩასვლიდან სამ თვეში სამშობლოში დაბრუნების მიზეზიც ის გახდა, რომ ოჯახმა არ მოისურვა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

„გერმანიაში ჩემი წასვლის მიზანი რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელება იყო. წასვლის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გზა აუ-პაირ პროგრამით გამგზავრებაა, ამიტომ გოეთეს ინსტიტუში ენის ინტენსიური კურსი გავიარე, ავიღე სერტიფიკატი, რაც აუცილებელი იყო გერმანიის ვიზის ასაღებად. ოჯახში ცხოვრების მთავარი მიზანიც სწორედ ენის კარგად დაუფლება იყო, ერთი წლის შემდეგ სწავლა უნივერსიტეტში უნდა გამეგრძელებინა. გასამგზავრებლად პირდაპირ გერმანულ სააგენტოებს დავუკავშირდი და მათ მომიძებნეს ოჯახი.

კონტრაქტის პირობების თანახმად, ენის კურსებზე სიარული უნდა დამეწყო გერმანიაში ჩასვლიდან ერთი თვის შემდეგ, კურსების საფასურიც ოჯახს უნდა გადაეხადა – ასეთი შეთანხმება გვქონდა ჩასვლამდე. თუმცა 3 თვის შემდეგაც კი არ გავუგზავნივართ ენის კურსებზე, სულ მეუბნებოდნენ, დღეს ან ხვალ გაგიშვებთო, ახლა არ არისო ენის კურსები ქალაქშიო. 3 თვის შემდეგ უნდა გადაეწყვიტა ოჯახს, მიხანგრძლივებდა თუ არა ვიზას, თუმცა მე თავად ვთქვი უარი და გადავწყვიტე სამშობლოში დაბრუნება.

კონტრაქტის თანახმად, უნდა წამეყვანა და წამომეყვანა ბავშვები სასწავლებლიდან, მეტარებინა სპორტულ და მუსიკალურ წრეებში, ამის გარდა, თანდათან დაიწყეს ისეთი რაღაცეების დავალება, რაც პირობებით არ იყო გათვალისწინებული: ვთქვათ, ორი დღე მოვუნდი ეზოში რაღაცეების შეღებვას და მიწის დამუშავებას.

იქ ყოფნის პერიოდში მქონდა სტუდენტებთან, აუ-პაირებთან და ყოფილ აუ-პაირებთან ურთიერთობა. ყოფილი აუ-პაირები ძალიან მძიმედ იხსენებდნენ იმ პირველ წელს, როცა ოჯახებში მუშაობა და ათასგვარი სამუშაოს შესრულება უწევდათ. შემიძლია გითხრათ, რომ გაძლებაზე იყვნენ ისინი, ვისაც მე ვეხმიანებოდი: ყოფილა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებიც, თითქმის ყველა ერთ აზრზე იყო – აუ-პაირობა მძიმე საქმეა", – ამბობს დავით დოლიძე.

მარიამ ხომასურიძე კი საპირისპიროს ამბობს. მისი თქმით, უცხო ქვეყანაში ჩასული ახალგაზრდის მდგომარეობას საქმისადმი დამოკიდებულება განაპირობებს.

„მინდოდა წასვლა ენის ცოდნის ასამაღლებლად. გოეთეს ინსტიტუტის სერტიფიკატი ავიღე, უპრობლემოდ გავიარე გასაუბრება საელჩოში და ვიზაც მივიღე. ოჯახიც დამოუკიდებლად მოვძებნე და ყველა პირობაზე წინასწარ შევთანხმდით.

მიუნხენთან ახლოს მდებარე ქალაქ ლანგსბერგში, ექიმების ოჯახში მოვხვდი: არაჩვეულებრივად მექცეოდნენ, მევალებოდა დილას ბავშვის გაღვიძება და დედასთან ერთად სასკოლოდ მომზადება, წაყვანა ჩემს მოვალეობაში არ შედიოდა. ვიდრე ბავშვი სკოლაში იყო, ელემენტარულ საოჯახო საქმეს ვაკეთებდი: მაგალითად, ჭურჭლის გასარეცხ მანქანაში თეფშებსა და ჭიქებს ვალაგებდი, ხანდახან სუფრის გაშლაშიც ვეხმარებოდი დიასახლისს, არ მევალებოდა არავისი ოთახის დალაგება.

ბავშვის დაბრუნების შემდეგ გაკვეთილების მომზადებაში ვეხმარებოდი და ამით ჩემი სამუშაო დღე სრულდებოდა. 2 საათის შემდეგ ან სასეირნოდ მივდიოდით ან სტუმრად, ხშირად აუზზე ვიყავით ერთად.

ენის კურსებზე სიარულიც დავიწყე, როგორც კი ზაფხული დასრულდა და სწავლა დაიწყო, ხაზი მინდა გავუსვა, რომ ენის ერთი დონის კურსის ნაცვლად, ოჯახის გადაწყვეტილებით, ორი დონე გავიარე.

მართლა არ გამიგია, თუ რომელიმე აუ-პაირს ცუდად ექცეოდა ოჯახი. კი, ნამდვილად იყვნენ უკმაყოფილო ქართველი ძიძები, მაგრამ ის რომ, ვიღაცას ხელით შეხებოდნენ, ამაზე არაფერი გამიგია.

რაც შეეხება კონტრაქტს, ისე გამოვიდა, რომ ძალიან ცუდად გავხდი და ერთ დღესაც ვთქვი, რომ დაბრუნება მინდოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1 წელი არ იყო გასული, მათ გამომაცილეს და კონტრაქტის დარღვევაზე სიტყვაც არ დაუძრავთ", – თქვა მარიამ ხომასურიძემ.

**მალხაზ ჭკადუა**

ქალაქში იმედი დადის

# ეეეხ!... ნობელი ცოცხალი რომ იყოს!



ცოტა მეუხერხულება, მაგრამ ეს „ჩანახატი“ ჩემი ერთ-ერთი ნარკვევის მოხმობით მინდოდა დამეწყო, რომლის გმირი, 85 წლის, საოცარი გონების კაცი ბატონი მიხაკო, ალალად და, ცოტა გაბრაზებულიც, მეუბნებოდა:

— კაცო, წლების წინათ ტელევიზორში ერთი კაცი გამოდიოდა და ამბობდა, პატარა ჰესები ავაგოთო სოფლებში... კაი სიტყვას ამბობდა ის კაცი, მაშინ! რატომ არ ჩანს, ნეტაი, ახლა? თუ ყოველ სოფელს და ოჯახს თავისი ელექტრონი ექნება, უფრო არ გაძლიერდება ქვეყანა?

მამაც მოუსვენარი და დაუდეგარი ჰყავდა მიხაკოს! ბატონმა თომამ გასული საუკუნის 30-იან წლებში პატარა ღელეზე უნიკალური „ზავოდი“ ჩადგა და ვიღაც „ინჟინერ-მენცარის“ ნაჩუქარი „ჩიჩიხი“ მიადგა ღარს. მერე, მოვიდნენ ენგურჰესის მშენებლები და მშენებარე ენგურჰესს შეადარეს თომას „ქარხანა“! სოფელი ჩქვალერი კი, ერთადერთი სოფელი იყო რაიონში, რომელსაც საკუთარი „წარმოების ელექტრო“ ჰქონდა! მიხაკომ მამის მოწყობილი „ზავოდიც“ შეინარჩუნა და ყვირას ქედზე, თხირიშისა და ბედიანაჩენის სანახებში მოწანწკარე წყაროებზეც ააგო მსგავსი „ქარხანა“. მიხაკო ხუთიოდე მსხვილფეხა საქონელს უდგას აქ და ერთი რამე უკვირს ძალიან, — რატომ არ ვაშენებთო ასეთ, პატარა „ზავოდებს“ ყველგან, ყოველ სოფელში და წყაროზე?...

...დიახ, ასე მინდოდა დამეწყო ჩემი დღევანდელი „სათქმელიც“, მაგრამ თანამედროვე ცხოვრების სიმკაცრე, ხშირად, თავისას გვიკარნახებს!... მსოფლიოს ზაფრად მოედო ამომავალი მზის ქვეყნის ტრაგედია! მიწისძვრამ და ცუნამმა თვალის დახამხამებაში გაანადგურა ყოველივე ირგვლივ! ამას მოჰყვა „ცივილიზაციის პირმშოს“ აბობოქრება, — ატომური ელსადგურებიდან წამოსული უბედურება! შეშფოთდნენ მთავრობებიც და დადგა დრო ადამიანთა დაფიქრებისა!

...ამას წინათ კვლავ ვეწვიე მიხაკოს ბედიანაჩენზე. მისი პატარა „მამულის“ ჭისკარს არ ვიყავი გადაცილებული, რომ ოდის ერდოსთან მდგარმა, თვალცრემლიანმა ბრძენკაცმა, თითქოს, მე ვყოფილვიყავი მიზეზი იაპონიის ტრაგედიისა, მომახალა:

— ხომ გეუბნებოდი, ბაჯგა, უჭკუობა დაღუპავს ქვეყანას-მეთქი!

მწარედ გამეღიმა, მხოლოდ!

— რა ქენი, ბაბა, მოძებნე ის კაცი, ტელევიზორში რომ გამოდიოდა და ჭკვიანურ რამეს რომ გვეუბნებოდა?

კი-მეთქი, ვუპასუხე!

...თბილისის ერთ-ერთ სკვერში ვისხედით მე და მერაბ ბერაძე და ვსაუბრობდით აქეთურზე, იქითურზე.

არ დაგიმალავთ, მერაბი ჩემი ძმაკაცი და მეგობარია, ცნობილი ტელეკომენტატორი. წლების მანძილზე გადიოდა მისი საავტორო პროგრამა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე და მას „ენერგია“ ერქვა!

პოეტი და ჟურნალისტი, მურმან ჯგუბურია წერდა:

— „დარწმუნებული ვარ, ბევრმა არ იცის, რომ დღეს, საქართველოში გვყავს ნობელის პრემიის ლაურეატობის ღირსი პიროვნება და, ეს პიროვნება გახლავთ ტელეკომენტატორი მერაბ ბერაძე!“

ცნობილ ექსპერტთა და საზოგადო მოღვაწეთა სიტყვებიც წამიკითხავს მასზე.

„სატელევიზიო პროგრამა „ენერგიას“ პროპაგანდით უფრო მაღალ მწვერვალებს დაიპყრობს მეცნიერება. მზით, წყაროებითა და მდინარეებით მდიდარი საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს კი, განსაკუთრებით, მაღალმთიანეთში, ძალიან მალე მოუგვარდება შუქის, გაზის, გათბობის პრობლემები; შეჩერდება ტყის ბარბაროსული ჭრა; გადარჩება მდინარეები და გამრავლდება ფლორა და ფაუნა; ნაკლებად შეგვაწუხებს ზვავი და მეწყერი, წყალდიდობა და ათასი სხვა უბედურება; გასუფთავდება უსაშველოდ დაბინძურებული ჰაერი; უკან დაიხევს მრავალი ავადმყოფობა; გაიზრდება ჯანსაღი თაობა; იმრავლებს შინაური ფრინველი და მსხვილფეხა საქონელი, რაც, თავისთავად, გამოიწვევს ეკოლოგიურად სუფთა რძის პროდუქტებისა და საკვების სიუხვეს; დასაქმდება ხალხი; განვითარდება მრეწველობა; კერას დაუბრუნდება ადგილობრივი მკვიდრი; გაიაფდება ბაზარი; გაიკვალება ახალი ტურისტული მარშრუტები და გაძლიერდება საქართველო!“. ამ მიმართვას ხელს აწერდნენ: მერაბ ბერძენიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურამ საღარაძე, ანზორ ერქომაიშვილი, რეზო ჩხეიძე, თენგიზ არჩვაძე, თამაზ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული, გურამ დოჩანაშვილი. აკადემიკოსები: ივანე კიღურაძე, გურამ გველესიანი, ერეკლე გამყრელიძე, მინდია სალუქვაძე, ჯუმბერ ლომინაძე, ნუგზარ ალექსიძე და სხვები!

საქართველოს სულიერ მამას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება:

„მოსახლეობამ უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტებზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოები!“.

ამ მოწოდებას მოჰყვა კიდევ ერთი შეძახილი: — „ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მორალური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ბევრი გზა არსებობს და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ამ არნახულ გაჭირვებას დავაღწიოთ თავი. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება და ბერკეტი. მათ შორის, პრესა, რადიო-ტელევიზია. კონკრეტულად, ვგულისხმობთ ტელევიზიის პირველ არხზე ახლო წარსულში მოქმედ საავტორო გადაცემას „ენერგიას“ და მის ავტორს მერაბ ბერაძეს, რომლის შესახებ ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი წერდა: — ფასდაუდებელია ამ ტელეკომენტატორის დამსახურება ერის წინაშე, რადგან, რომ დაინერგოს თუნდაც მესამედი იმისი, რასაც იგი ქადაგებს, ცხოვრება საქართველოში გაცილებით იოლი იქნება!

საბედნიეროდ, ასეთი გამოხმაურებების დამსახურებით, ბევრი სოფელი გადაურჩა აყრას და საქართველოს ბევრ რეგიონში ამოქმედდა მიკროჰესი, ბიოდანადგარი, ქარისა და მზის სისტემები, ხოლო მაღალმთიანეთში, იქ სადაც ელექტროენერგია მანამდე არ იყო, 20-მდე ეკლესია-მონასტერში მზის სხივები გარდაქმნეს ელექტროენერგიად!“

...მაგრამ, იმასთან შედარებით, რაც შეუძლია გააკეთოს „ენერგიამ“, როგორც იტყვიან, გაკეთებული ზღვაში წვეთია! დღეს ამ პრობლემებზე ნაკლებად ფიქრობს ვინმე! თვით „საზოგადოებრივად“ წოდებულმა ტელევიზიამ, და მისმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამაც კი, ენერგიულად ჰკრა ხელი „ენერგიას“! არადა, სხვათა შორის, სულ ცოტა ხნით ადრე თვითონ წარადგინა ეს პროგრამა სახელმწიფო პრემიაზე!

...საოცარია!

მართალია, რესპუბლიკის ბეჭდვით გამოცემებს არაერთხელ გაუმახვილებიათ ყურადღება ჟურნალისტ მერაბ ბერაძეზე და მის „ენერგიაზე“, მაგრამ ზოგიერთ ტელევიზიას, „უგვანი“ შოუ-პროგრამები უფრო „აწყობთ“, ვინემ საქვეყნო საქმე! ხოლო, დაწერილს წამკითხველი რომ უნდა, ესეც ცხადია! ერის მოჭირნახულე და მოამაგე მკითხველი!

...ქუჩაში დაჰქრიან მანქანები. ბენზინგასამართ სადგურებთან რიგები დგას! გამონაბოლქვი აირები ახრჩობს ქალაქს! მიმოდიან ადამიანები და „საშველს არ გვაძლევენ“, ყოველი მეორე თუ, მესამე, სალამს აძლევს მერაბს. უკვირთ, ასეთმა მოუსვენარმა კაცმა, როგორ იპოვა დრო ბაღში დასაჯდომად. რომ მშვიდად ემზირა იმ ყველაფრისათვის, რომლის კორიანტელი იდგა გარეშემო!

იქვე, მოშორებით, სახელდახელოდ მოწყობილი „დუქნიდან“ ტელევიზორის ხმა ისმოდა: — “მსოფლიომ უარი უნდა თქვას ბირთვულ ენერგიაზე! არა, ბირთვულ ენერგიას!“

— წარმოგიდგენია, როგორ გაუხარდება ეს ამბავი მიხაკოს?! თუ უსმენს, რა თქმა უნდა!..

...კიდევ ერთმა გამვლელმა გადაკოცნა მერაბი!

— არა, მე თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ მე გიცნობთ, დიდებულ ქართველს და პოპულარულ ტელეკომენტატორს!... ისვენებ, ალბათ, ხომ?! — ჩაიცინა და გზა განაგრძნო.

—კი, ვისვენებ!... შვიდი წელიწადია ვისვენებ!... ბევრი იშრომე და ახლა გეყოფაო, მითხრეს!... — სევდა მოძალებოდა მერაბს.

— მე მგონი, მსოფლიო გიცნობს, ძმაო!...

— კარგი, ახლა, ნუ „მაშაყირებ“... ალბათ, კეთილი პენსიონერები ვგონივართ და უკვირთ, დომინოს რატომ არ ვთამაშობთ მე და შენ!

...საოცრად სხარტი გონება და მოსწრებული ენა აქვს ჩემს მეგობარს. რომ დაიწყებს, დილამდე არ მორჩება ანეკდოტებს. მერაბთან ერთად თუ ხარ სუფრასთან, ფხიზელი ადგები უთუოდ! აბა, როგორ მოიცლი სადღეგრძელოებისათვის? გადმოდის და გადმოდის ამ კაცის ბაგეთაგან კეთილი ღიმილისა და ხარხარის მომგვრელი სხარტულების ნაკადი!

— ... ა? მურმან ჯგუბურიამ ნობელის პრემიაზე „წარგადგინა“?...

— კი!... მურმანს კარგი იუმორი აქვს!...

— იუმორი უძახე შენ და... გავიგე ბათუმის საპატიო მოქალაქედ აურჩევიხართ!

— იუმორია მთელი ცხოვრება, ჩემო ძმაო!... იუმორი ახალისებს ცხოვრებას და თან, ჭკუასაც გვასწავლის!... თუმცა, ჭკუას ჭკვიან კაცს ასწავლის, თორემ, ისე გამოდის, მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, ხომ გაგიგონია?...

— რატომ გგონია ასე? შენი ცხოვრების საუკეთესო წლები საქვეყნო საქმისთვის მიგიძღვნია და ამისი საშველი და შემართება რომ გქონდა, პატარა საქმე ხომ არ გგონია?

— კი, ამითი მომწონს თავი და მიხარია, მაგრამ როცა, ვიღაცის მიუხვედრელობის გამო შეწყდება, ხოლმე, საქმის კეთება, გული გწყდება ადამიანს!

— რა დროს შენი პესიმიზმია, ძამიკო!... სამართალი პურს შეჭამს!...

— პურის ჭამა... იცოცხლე!... მარა საქმის კეთებაა ძნელი!

— შე კაცო, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის სახელოვანი იმიჯი ჰქონდა, არც ალ გორს ჰქონდა ია-ვარდებით მოფენილი გზა!... ნობელის პრემია კი, „გლიჯეს“!... მერაბი იღიმება.

— შენც მურმან ჯგუბურიასავით ნუ დაიწყე, ახლა!...

— დავიწყე რა?... არ იყო ასე თუ? ალ გორიც მზის ენერგიის წყაროების პროპაგანდითა და გარემოზე ზრუნვის გამო გახდა ესოდენ მაღალი პრემიის ლაურეატი... სად იყო ალ გორი, როცა შენ თავქუდმოგლეჯილი იღწვოდი ენერგიის ალტერნატიული წყაროების პოპულარიზაციისათვის!

— ხუმრობ ახლა შენ! კაია ხუმრობა, მაგრამ იმ ალ გორზე მეუბნები, რომლის ქვეყანაში უქმად არ აგდებენ ადამიანის აზრს და გონებას!...

დიახ, ვხუმრობდი, მაგრამ მაინც ჩამაფიქრა მერაბის სიტყვებმა! იქნებ, არც იყოს ასე? იქნებ, რასაც ჩვენმა „მშობლიურმა“ პირველმა ტელეარხმა „ხელი ჰკრა“, სხვებმა აიტაცონ!... საბედნიეროდ თუ, საუბედუროდ, რამდენი ტელეარხია საქართველოში?... თუნდაც, „კავკასია“! თუნდაც, „მაესტრო“! და იმედიანი „ერთსულოვნება“!... თუნდაც, აჭარის ტელევიზია!... მერაბი, ხომ ბათუმის საპატიო მოქალაქეც გახლავთ! ბათუმის ზღვის ფსკერზე არსებული გაზის საბადოებზე გადაცემების მთელი „ჯარი“ მოუმზადებია ჩემს ძმაკაცს!... იქნებ, პირველმა არხმაც „გამოიბერტყოს ყური“?!

... ეს, რა კარგი აზრი მომივიდა თავში? ...თუ, გამგონე იქნება ვინმე!!

— მერაბ, რამდენი დაუჯდება გლეხს თითოეული ბიოდანადგარის, მზისა თუ, ჰიდრო მიკროსისტემების მოწყობა?

— გააჩნია!... ახლა ყველაფერს ცეცხლი უკიდია, თორემ!... მაშინ კი, სამი-ოთხი ოჯახისთვის, 3000-4000 ლარი თუ ჯდებოდა!... მეტი არა!... მზისა და ჰიდრო სისტემები, რა თქმა უნდა, ოდნავ მეტი!

— მაგრამ იმდენად მეტი კი არა, რომ საქართველოში მომრავლებულმა ბანკებმა და საფინანსო ორგანიზაციებმა ვერ შეძლონ ამ საქმისთვის გრძელვადიანი, შეღავათიანი სესხების გამოყოფა!

— სოფელმა თუ, ოჯახმა, ოღონდ ისურვოს და, ზოგიერთ ქვეყანაში ამ საქმისთვის, 30-40-წლიან შეღავათიან და უფასო სესხებსაც კი, იძლევიან ბანკები!...

— ...ხმა გავრცელდა, ნობელის სამშობლოდან დელეგაცია ჩამოდისო!... შენ ხომ არ გეძებენ?

— ...სწორედ მათ ვემალები და იმიტომ არ ვჩერდები სახლში!... — მერაბმა გულიანად გადაიხარხარა და მეც ავყევი მას!

— ეეეხ!... ნობელი ცოცხალი რომ იყოს!...

ზაურ ფიფია.

ინფორმაცია

## ბავშვი ჯერ არ დაბადებულაო და... ანუ სააკაშვილის ხილვები

— საქართველო წელს პირველად გახდება სიმინდის ექსპორტიორი ქვეყანა. დაინტერესება მოდის რამდენიმე ქვეყნიდან, მათ შორის აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან. ამ ჩამონათვალში კიდევ რამდენიმე ქვეყანაა, — ქვეყნის პირველი პირის ეს განცხადება ჟურნალისტებს გუშინ გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მისმა პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააცნო.

ამასთან, პრეზიდენტის თქმით, გარანტირებულად გავა ექსპორტზე ყველა იმ ფერმერის მიერ მოწეული სიმინდის მოსავალიც, რომელმაც ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის დათესვის თაობაზე დაინტერესება გამოთქვა. — ფერმერების მიერ მოწეული მოსავალი გარანტირებულად გავა ექსპორტზე, რაც მნიშვნელოვანი მოტივაციაა მწარმოებლებისთვის, — მიაჩნია სააკაშვილს.

გარდა ამისა, ქვეყნის პირველი პირი უხვმოსავლიანი და ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის თესლის დათესვასთან დაკავშირებით ფერმერებისა და გლეხების დაინტერესების მაჩვენებლითაც კმაყოფილია და აცხადებს, რომ შესაბამისი რეგისტრაცია უკვე 35 ათასზე მეტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს გავლილი.

— რეგისტრაციის პროცედურა აპრილის ბოლომდე გაგრძელდება. გარდა დასავლეთ საქართველოსა, სადაც სიმინდი ტრადიციული კულტურაა, პროექტში ჩართვასთან დაკავშირებით მაღალია კახეთის რეგიონის, კერძოდ კი ლაგოდეხის დაინტერესებაც. ეს საინტერესო და ახალი ტენდენციაა, — მიიჩნევს საქართველოს პრეზიდენტი.

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# კალაძე პოლიტიკაში ეშვება!

**მართალია, საქართველომ შაბათს თბილისში ხორვატიის გუნდთან გამარჯვებას (1:0) მიაღწია, თუმცა ამ მნიშვნელოვანი შეხვედრისათვის მზადებას იდეალურ გარემოში არ ჩაუვლია. ქართველთა გუნდის კაპიტანმა კახა კალაძემ, თავს უფლება მისცა ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლება მკაცრად გაეკრიტიკებინა.**

გენუის „სამპდორიას“ მცველის სიტყვები (ამ გუნდში კალაძე მილანის საფეხბურთო კლუბში ათწლიანი თამაშის შემდეგ შარშან ზაფხულში გადავიდა) მას შემდეგ გაისმა, რაც ახლახანს ყოფილი მცველი გიორგი დემეტრაძე არალეგალურ სპორტულ სანაძლეოებში მონაწილეობის და ფულის გამოძალვის ბრალდებით დააპატიმრეს.

„ვფიქრობ, დროა, ხელისუფლებას მეტი გამჭვირვალობა მოვთხოვოთ ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიის შუქურად შეაფასეს“, ნათქვამია კალაძის მიმართვაში, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა და პარასკევს ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა.

სიტუაცია „ამ თვალსაზრისით აშკარად უარესდება“, – დასძენს იგი.

კალაძე მოითხოვს, ხელახლა გამოიძიონ დემეტრაძის საქმე და მიაჩნია რომ ფეხბურთელი უდანაშაულოა. „სამართალი იზეიმებს!“, – ამტკიცებს იგი და კენჭს პრეზიდენტ სააკაშვილის ბაღში ისვრის, რომელსაც შეფასება მოუწევს...

LADEPECHE.fr

# სააკაშვილისთვის ოპოზიცია სავალდებულო არ არის

**საქართველოს ხელისუფლებამ და „ოპოზიციურმა რვიანმა“ გასული კვირის ბოლოს შეწყვიტეს ერთობლივი მუშაობა ქვეყნის საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე. ამ დროს ხელისუფლებამ გამოაცხადა მოლაპარაკების პროცესის ჩაშლის შესახებ.**

მაგრამ რვა ზომიერი ტიპის ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მუშაობაში, ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისინი არ წყვეტენ დიალოგს, თუმცა მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება წარმოადგენს ადეკვატურ წინადადებებს. თავის მხრივ, ხელისუფლებამ ეს განცხადება შეაფასა, როგორც ულტიმატუმი.

ამ დღეებში პოლიტიკურ ბანაკებს შორის მკაცრ ბრალდებებს თბილისში იშვიათად როდი შეხვდები. ხელისუფლება და ზომიერი ოპოზიცია ერთი-მეორეს აკისრებს პასუხისმგებლობას შესაძლო მძიმე შედეგებზე, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს საარჩევნო გარემოს არასრულყოფილება. მთლიანად კი ეს ასე გამოიყურება: ოპოზიციას არ შეუძლია მიაღწიოს რეალურ ცვლილებებს საარჩევნო კანონმდებლობაში და დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება კიდევ ერთხელ არის მზად გააყალბოს ადგილობრივი არჩევნებიც და პარლამენტის 2012 წლის არჩევნებიც. ისინი კი, თავის მხრივ, მიიჩნევენ, რომ ოპოზიცია ცდილობს თავს მოახვიოს ხელისუფლებას თავისი თამაშის წესები, რათა, როდესაც არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები და მხარდაჭერა მოსახლეობის მხრიდან, მაინც დააღწიოს თავი „პოლიტიკურ მივიწყებას“. სწორედ ასეთი სულისკვეთებით დაახასიათა ოპონენტების წინადადებები პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

ამრიგად, თბილისში, როგორც ჩანს, მოვლენები განვითარდა ერთ-ერთი ყველაზე პესიმისტური სცენარით, რასაც ვარაუდობდნენ ევროპელი ექსპერტები საარჩევნო უფლების დარგში.

საპარლამენტო უმცირესობისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ (მოძრაობა „ოპოზიციურ რვიანში“ შედის) საქართველოს დედაქალაქში ამ დღეებში მიმდინარე ნატოს საპარლამენტო ასამბლეის „სემინარ როუზ-როსზე“ ამასთან დაკავშირებით არაორაზროვნად განაცხადა: „საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით შეთანხმების უქონლობამ შეიძლება გზა გაუხსნას ყველაზე რადიკალურ ოპოზიციას რევოლუციური მიზნის საშინაო ძალადობით განხორციელებისთვის, და რაც ამის შედეგად თავის სასარგებლოდ შეიძლება გამოიყენოს რუსეთმა“. ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ყველაზე ცუდი სცენარის განვითარება სავსებით რეალურია, ვინაიდან საქართველოში ორი ყველაზე რადიკალური ოპოზიციური პარტია მუშაობს ინტენსიურად გარდაუვალ რევოლუციურ ცვლილებებზე“, მათი სცენარი კი იწვევს ძალადობას, რომელიც ანალოგიურია 2007 წლის ნოემბრის მოვლენებისა „და ამას მოჰყვება საქართველოს მთავრობის სრული დელეგიტიმაცია“.

თარგამაძეს დამატებით აღარ აუხსნია, თუ ვის გულისხმობდა იგი „ყველაზე რადიკალურ პარტიებში“. ცხადია – ესენია პარლამენტის ექსსპიკერის ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ და ქართული პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს ექსების ტრიუმირატი: პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე, ომბუდსმენი სოზარ სუბარი და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. ეს ორი პარტია მართლაც თვალსაჩინოდ გამოიყურება დანარჩენი შეურიგებელი პარტიების ფონზე. თუ, ვთქვათ, ლეიბორისტების ხელმძღვანელი შალვა ნათელაშვილი, რომელმაც უარი თქვა ხელისუფლებასთან ნებისმიერ მოლაპარაკებაზე, პრესკონფერენციებისა და საერთაშორისო ინსტიტუტებისა და სასამართლო ინსტანციების მეშვეობით აწარმოებს ხელისუფლების საწინააღმდეგო გამომააშკარავებელ საქმიანობას, ეს ორი დასახელებული პარტია აშკარად აცხადებენ მზადყოფნას, მოაწყონ მორიგი რევოლუცია.

აქტიური მოქმედების დაწყებას ისინი გეგმავენ სააღდგომო დღეების შემდეგ, ბურჯანაძემ კი უკვე აშკარად გამოაცხადა 2 მაისი რეჟიმის დასასრულის დასაწყისად.




НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე




**განგაშის მაქსიმალური დონე იაპონიაში: ატომურ ელექტროსადგურზე გალღვა სათბობი ღერძი, არის პლუტონიუმის გადინება**

სიტუაცია განუჭვრეტლად გამოცხადდა. ხელისუფლება მზად არის ხანგრძლივი მუშაობისთვის ავარიის შედეგების სალიკვიდაციოდ. ზოგიერთი ექსპერტი მოუწოდებს, კონტროლი ატომურ ელექტროსადგურზე გადასცენ საერთაშორისო გაერთიანებას. რუსეთის სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ აფეთქება „ფუკუსიმაზე“ არ იქნება, რადიაცია კი მალე გაიფანტება.

* * *

**უგო ჩავესს შეეშინდა, რომ გახდება „მომდევნო კადაფის შემდეგ“**



ვენესუელის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მიუღებელი ქვეყნების სიაში არიან ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ლიდერებიც, მაგრამ მათგან „პირველი მე ვარ“. მისი აზრით, ამჟამად, როდესაც მსოფლიო გაერთიანება მშვიდად უმზერს ომს ლიბიაში, არის რეალური შესაძლებლობა „მოახდინონ ვენესუელისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო გეგმების ნეიტრალიზების“ შესაძლებლობა.

* * *

**სირიის სამხედრო- საზღვაო ძალების კატარღებმა დააკავეს გემები, რომლებიც მიდიოდნენ ლიბიაში იარაღით მეამბოხეებისთვის**



როგორც ხელისუფლება ამტკიცებს, იარაღი გათვალისწინებული იყო ექსტრემისტული ჯგუფებისთვის ლატაკიაში, სადაც შაბათს ჩაახშეს აჯანყება. სირიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარყო ცნობა პოლიციის მიერ სამხრეთი პროვინციის დერაას ადმინისტრაციულ ცენტრში პოლიციის მიერ მანიფესტანტების დარბევისა და მათ წინააღმდეგ იარაღისა და ცრემლსადენის გაზის გამოყენების შესახებ.

* * *

**ერისადმი ტელემიმართვაში ობამამ შეაჯამა ლიბიის ოპერაციის პირველი შედეგები, გააოცა რესპუბლიკელები კონგრესში**

სენატორები აპირებენ, მიაღწიონ ადმინისტრაციისგან იმ პოლიტიკური და სამხედრო მიზნების სიის მიწოდებას, რასაც ქვეყანა ისახავს სიტუაციის განვითარების შესაბამისად ლიბიაში. როგორც კონგრესში მიაჩნიათ, ზუსტად უნდა განისაზღვროს ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვის ხარისხი ოპერაციაში და მითითებული იქნეს მისი პოტენციური შედეგები ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისთვის.



# რუსი ასტროლოგები და შამანები მესამე მსოფლიო ომს ვარაუდობენ

**ცნობილი რუსი ასტროლოგები, შამანები და პარაფსიქოლოგები შეეცადნენ 2011 წლის გაზაფხული-ზაფხულის პროგნოზი გაეკეთებინათ. თუმცა ისინი ამით მოკლე პერიოდით არ შემოიფარგლნენ და მესამე მსოფლიო ომის დაწყების თარიღიც კი დაასახელეს.**

– ამჟამინდელი ფინანსური კრიზისი, სხვა არაფერია, თუ არა მინიშნება. ნამდვილი ფინანსური კრიზისი წინ გველოდება, – განაცხადა ეკოლოგ-ასტროლოგმა **ალექსეი კოლოვმა**.

რუსეთში ყველაზე ცნობილმა ასტროლოგმა **პაველ გლობამ** კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ 2011 წელი რუსეთისთვის ცუდი არ იქნება.

– მე ახლა ბევრი მადანაშაულებს, რომ რუსეთისთვის კარგი წელი ვიწინასწარმეტყველე. რა კარგი წელია როცა იაპონია ინგრევა? მაგრან იაპონია ხომ რუსეთი არ არის! მსოფლიოში იქნება ომები, მაგრამ არა ჩვენთან. ქვეყანაში ყველაფერი კარგად იქნება ზაფხულის გამოკლებით, – განაცხადა ასტროლოგმა.

მისი თქმით, რუსეთში ზაფხული-ივნისი და ივლისი მძიმე იქნება.

– ივნის-ივლისში მოსალოდნელია მთვარის 3 დაბნელება. სულ მთლიანად კი წლის ბოლომდე 6 დაბნელება. ასეთი მძიმე წელი ბოლოს 20 წლის წინ იყო, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა. დაბნელებები ბევრ სისაძაგლეს ჩაიდენენ, – აღნიშნა პაველ გლობამ და დასძინა, – ბოლო დაბნელებისას, რომელიც 10 დეკემბერს მოხდება, შეიარაღებული კონფლიქტი დაფარავს ბალკანეთს. ხოლო ნობელის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალზე ტერორისტები ნაღმს ჩადებენ“.

გლობას აზრით, 2010 წელი 1939 წლის „ტოლფასია“, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

– შესაშინებელი სიზუსტით ცნობილი გახდა მესამე მსოფლიო ომის დაწყების დრო – 2014 წლის 24 მარტი ზუსტად ოლიმპიადის ან მაქსიმუმ მისი დამთავრებიდან 5 დღის შემდეგ, – აღნიშნა ასტროლოგმა, თუმცა სად დაიწყება „მესამე მსოფლიო“, მას არ დაუკონკრეტებია.

მან აღნიშნა, რომ აფრიკული რევოლუცია თანდათანობით უახლოვდება რუსეთს და უახლოეს წლებში მთელ შუა აზიას მოიცავს.

– უახლოეს მომავალში რევოლუციური რყევების წინ დგანან სირია და იემენი. ირანის ლიდერებს ყველაზე ბოლოს, 3 წლის მერე შეეხებიან. მხოლოდ ალჟირს გაუმართლა – რომელიც ამ დავიდარაბიდან მცირე სისხლით გამოვა, – აცხადებს გლობა.

გლობამ პროგნოზი გააკეთა კადაფის ბედთან დაკავშირებითაც.

– რაც შეეხება კადაფის ბედს, საქმე იმაშია, რომ ზუსტად არავინ იცის მისი ნამდვილი დაბადების თარიღი. სავარაუდოდ, ეს ან 1937 ან 1940 წელია. ხოლო თუ ის მართლა 7 ივნისს დაიბადა, მაშინ მისავე დაბადების დღეს გარდაიცვლება – ზუსტად მთვარის დაბნელების დროს.



არც პარაფსიქოლოგი **ლარისა ვაისა** წინასწარმეტყველებს კარგს.

– გაზაფხული იქნება მძიმე, ზაფხული ცხელი, დაიბადებიან ექვსთითა ბავშვები და ცხოველები. უმაღლესი მხედართმთავარი ეძებს მემკვიდრეს და მისი სახელი „კ“-ზე იწყება“, – აცხადებს პარაფსიქოლოგი, რომელიც ირწმუნება, რომ შინაგანი ხმა არასოდეს ატყუებს.

ლარისა ვაისამ 1996 წელს „მომავალ უკრაინაში“ „ნაწნავიანი ქალი“ დაინახა. იგი ახლაც „ხედავს“ ქალს, რომელიც მართავს რუსეთს და მომავალი პრეზიდენტის ზურგს უკან დგას – ეს ქალი სრულიადაც არ არის პრეზიდენტის ცოლი (სვეტლანა მედვედევა – რედ.ძ, ის სპორტსმენი და პედაგოგია.

„ნუთუ ალინა კაბაევა? პარაფსიქოლოგმა არაფერი დააკონკრეტა და რუსეთიდან მსოფლიო პროგნოზზე გადავიდა – იაპონიას კიდევ ბევრჯერ შეაზანზარებს და საერთოდ პლანეტაზე ამ წელს ბევრი ადამიანი დაიღუპება.

შამანმა **ანდრეი დონდუკოვმა** განაცხადა, რომ – 2009 წელს დადგა სიკვდილის ღმერთის იამარაჯის მმართველობა – ყველას მოგვეკითხება ჩადენილი ცოდვებისთვის. განსაკუთრებული სიკვდილის ჭიშკრის დღედ 5 ნოემბერი დასახელდა.

შამანმა ყველას გასაოცრად დაადასტურა ლარისა ვაისას სიტყვები – „აღმოჩნდა, რომ ჩვენ მამაკაცებმა დავკარგეთ ჩვენი მთავარი ძალა და ვცხოვრობთ ცრუპატრიარქატის ეპოქაში, რომელიც მალე დასრულდება და კვლავ მატრიარქატი დაბრუნდება„.

**მოკლედ, როგორი იქნება 2011 და შემდგომი წლები ეს კვლავ განსჯის საგნად რჩება.**

დიქტატორები და რევოლუციები

# ვისი „ქალიშვილია“ უკეთესი

**მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და პოლიტიკურ წრეებში დიდი ხანია, უკვე მსჯელობენ არაბულ სამყაროში განვითარებული მოვლენების შესახებ, ბევრს დავობენ მათს გამომწვევ მიზეზებსა და ქვეყნებზე, ძალიან ხშირად – პიროვნებებზე. მათგან ბევრი ლიბიაში აგრესიის წამომწყებად მიიჩნევს საფრანგეთს. რატომ საფრანგეთს?ამერიკის შეერთებული შტატები ამიტომ აღმოჩნდა მეორე პლანზე?**

ბოროტი ენები მიიჩნევენ, რომ ეს არის საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შურისძიება – მ.კადაფიმ მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ ის აწარმოებდა საფრანგეთის პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიის სპონსორობას. ალბათ, მიიჩნევენ, რომ სარკოზიმ გადაწყვიტა: დადგა დრო, რომ საფრანგეთს კვლავ შეუძლია, გავლენა მოახდინოს მსოფლიოს პოლიტიკაზე – უკანასკნელ წლებში ევროპულმა ქვეყნებმა ასეთი გავლენა ხომ თითქმის დაკარგეს. თანაც 2012 წელს საფრანგეთში გაიმართება არჩევნები, პრეზიდენტის რეიტინგი ძალიან დაბალია – საჭიროა მისი როგორმე წამოწევა. თავისი როლი შეასრულა ევროპელთა პანიკურმა შიშმაც აფრიკიდან ლტოლვილთა შემოტევის წინ. თითქოსდა, თუ იქ წესრიგს არ დავამყარებთ, ეს მიგრაციული ნაკადი მთელს ევროპას მოიცავს.

### „ბოროტების ღერძზე“ ასხმული

**კადაფი, რასაკვირველია, ოდიოზური და მკაცრი მმართველია. მაგრამ ბევრს როდი ესმის, თუ კერძოდ რა დააშავა მან ამ ერთი თვის წინათ?**

აღსანიშნავია, რომ არაბული რევოლუციების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ამერიკულმა ჟურნალმა „ფორინ პოლისმა“ გამოაქვეყნა „მსოფლიოს ყველაზე ცუდი დიქტატორების რეიტინგი“. მ.კადაფიმ მასში მე-11 სტრიქონი დაიკავა, მოგვიანებით გადაყენებულმა ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰ.მუბარაკმა – მე-15. მასში ადგილი იპოვეს ამერიკის შეერთებული შტატების ისეთმა რჩეულებმა, როგორებიცაა ვენესუელელი უ.ჩავესი (მე-17 სტრიქონიძ, ირანელი მ.ახმადინეჟადი (მე-8ძ, ბელარუსელი ა.ლუკაშენკო (22-ეძ. პირველი ორი ადგილი კიმ ჩენ ირმა (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაძ და რ.მუგაბემ (ზიმბაბვეძ დაიკავეს.

მწერალი, ისტორიკოსი, წიგნების „კრიზისი. როგორ კეთდება ეს“ და „შერშე და ნავთობი“ და სხვათა ავტორი ნიკოლაი სტარიკოვი ამტკიცებს: „ადამიანთა უფლებათა დაცვა აქ არაფერ შუაშია, დესპოტების დამღას ღებულობენ მხოლოდ ის მმართველები, ვინც თავს უფლებას აძლევს, აწარმოოს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა. როგორც მოიგავე კრილოვი ამბობდა, „მე შენი შეჭმა რომ მინდა, მიზეზად ესეც კმარაო“. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების დოლარისა და პოლიტიკის მდგომარეობა იმდენად სავალალოა, რომ შტატები იძულებულია, დაიწყოს გლობალური დესტაბილიზაცია კონკურენტების – ევროკავშირის, ჩინეთისა და რუსეთის დასასუსტებლად. ჩინეთი და ევროპა დამოკიდებული არიან ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე, ევროპის სტაბილიზაცია ამ დროს შეიძლება დაარღვიოს მიგრაციამ ისლამური ქვეყნებიდან. ამიტომ შეტევის ობიექტი გახდა სწორედ ახლო აღმოსავლეთი და აფრიკის ჩრდილოეთი. ტუნისში კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ოცნებობდნენ – უეცრად დიქტატორად გამოცხადებულმა პრეზიდენტმა ბენ ალიმ (ცოტა ხნის წინათ სხვა არაბული ქვეყნების ლიდერებისთვის ის მაგალითად მოჰყავდათძ მალე დატოვა ქვეყანა. ეგვიპტეში მუბარაქთან ცოტა გაჭიანურდა საქმე, ლიბიაში კი რევოლუცია თითქმის ჩახშობილია. მაგრამ კადაფის განაჩენი დასავლეთმა სასამართლოსა და გამოძიების გარეშე გამოუტანა, საქმის გარჩევაც არ უცდიათ – მაშ, რაშია იგი დამნაშავე? მისი „არაადამიანურობის“ ყველა დამადასტურებელი საბუთი – ეს არის ანონიმურ თვითმხილველთა დამოწმება, ჩანაწერები „ტვიტერი “ და დადგმული ხასიათის გადაღებანი. დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ბომბავს კადაფი მოქალაქეებს. მაგრამ არ უჩვენებიათ არც ერთი ავიადაბომბვა, არც ერთი ნამდვილი ბრძოლა, არც მშვიდობიანი მოსახლეობის უამრავი ცხედარი. ჩვენ ტრიპოლიში ვერ ვიხილეთ უკმაყოფილოთა მოზოზოქრე ბრბო, როგორც კაიროს ტახრისის მოედანზე. ამის ნაცვლად გვიჩვენეს 10 კლოუნი ავტომატებით, რომლებიც თითქოს ლიბიის აჯანყებულ ხალხს წარმოადგენდნენ.

**ვინ აწარმოებს ლიდერებისა და ხალხების განსჯას**



### რა არის „ცუდი“?

**მსოფლიოს პოლიტიკა უკიდურესად ცინიკურია. რატომღაც, როდესაც ათენსა და პარიზში ხელისუფლება მკაცრად აცხრობდა დემონსტრანტებსა და ვანდალებს, რომლებიც ცეცხლს უკიდებდნენ მანქანებსა და „მაკდონალდსებს“, მათ არავინ გმობდა.**

**მილოშევიჩი, ჰუსეინი, კადაფი... ვინ არის შემდეგი?**

საქართველოს პრეზიდენტი მ.სააკაშვილი, რომელმაც 2007 წლის 7 ნოემბერს წყალსაფრქვევებითა და ცრემლსადენი გაზით დაარბია ოპოზიციის მიტინგი, ვაშინგტონმა ოდნავ დატუქსა. როდესაც მინსკში ოპოზიციის ასეთივე დარბევა მოაწყო ა.ლუკაშენკომ 2010 წლის 19 დეკემბერს, ბელარუსის დიქტატორს კვლავ ევროპის უკანასკნელი დიქტატორი უწოდეს და დასაჯეს ახალი სანქციებით.

„სააკაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების მარიონეტია, ლუკაშენკო უარს აცხადებს, შეიყვანოს თავისი ქვეყანა ამერიკის პროტექტორატში, – განმარტავს ამის სხვაობას ნ.სტარიკოვი. – პრინციპი „ეს ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია“ მოქმედებს გამართულად. ლათინურ ამერიკაში ბევრი რეაქციული რეჟიმი იყო, რომლებსაც ებრძოდნენ აჯანყებულები, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები რეჟიმის მხარეს აღმოჩნდებოდა ხოლმე. სამხრეთ, პროამერიკულ ვიეტნამშიც მოქმედებდნენ პარტიზანები. არსებითად – თავისუფლებისთვის ისეთივე მებრძოლები, როგორებიც ამჟამინდელი ლიბიელები არიან. რას აკეთებდა ამერიკის შეერთბული შტატები? მოითხოვდნენ, არ გამოეყნებინათ ძალადობა უბრალო ვიეტნამელების წინააღმდეგ? არა, მან იქ შეიყვანა ჯარები და დაიწყო ტყეების ავსება ნაპალმით, რათა იქიდან გამოეყვანათ აჯანყებულები“.

გვახსოვს ა.მილოშევიჩის ბედიც. 12 წლის წინათ მის რეჟიმს ბრალი დასდეს გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში. ბელგრადი დაბომბეს ნატოს თვითმფრინავებმა, რის შემდეგაც გაასამართლეს იუგოსლაველი ლიდერი, ამოაღრჩეს ციხეში. ალბანური კოსოვო, რომელსაც სერბებისგან დასავლეთი იცავდა, აღიარეს დამოუკიდებლად. მერე რა, რომ კოსოვოელი "თავისუფლებისთვის მებრძოლები" მომავალი პრემიერის მეთაურობით კონტრაბანდისტები, ნარკოტიკებითა და ადამიანის ორგანოებით მოვაჭრენი აღმოჩნდნენ – ეს აღიარა მოგვიანებით ევროპის საბჭომ.

ზუსტად 8 წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ჯარები მოგონილი საბაბით თავს დაესხნენ ერაყს. სამი წლის შემდეგ გაასამართლეს პრეზიდენტი ს.ჰუსეინი და სიკვდილით დასაჯეს, ერაყი კი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მშფოთვარე ადგილად რჩება პლანეტაზე...

კონსტანტინ ბოროვოი, პოლიტიკოსი და ჟურნალ „ამერიკა ილუსტრეიდის“ მთავარი რედაქტორი, მოგვიწოდებს ნუ მოვახდენთ „მსოფლიო ჟანდარმის“ დემონიზებას. მილოშევიჩისა და კადაფის ტიპის მმართველები თავისას ღებულობენ, დარწმუნებულია იგი: „არის საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ადამიანის უფლებებს შეეხება, – გაეროს წესდება, ჰელსინკის შეთანხმება. როდესაც სახელმწიფოს მეთაური ან მისი ხელქვეითები არღვევენ ამ ნორმებს, რეჟიმი ცხადდება კანონგარეშედ. თუ ხელისუფლება იყენებს არმიას თავისი ხალხის წინააღმდეგ – ეს დანაშაულია“.

„ბრძოლის წარმოება ხალხის უფლებებისა და თავისუფლებისათვის უნდა ხდებოდეს კანონის ფარგლებში, – ედავება მას ნ.სტარიკოვი. – ლიბიაში ჩვენ ვიხილეთ არა მშვიდობიანი დემონსტრანტები, არამედ ხალხი ავტომატებითა და საზენიტო იარაღებით. ეს უკვე საპროტესტო აქცია აღარაა, ეს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბებაა. ასეთი „ოპოზიციის“ წინააღმდეგ ხელისუფლებას აქვს უფლება გამოიყენოს ძალა“.

„საზღვარი იმათ შორის, თუ რისი გაკეთების ნება აქვს რეჟიმს და რისი არა, მეტად მერყევია“, – აღიარებს პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის პრეზიდენტი იგორ ბუნინი. მაგალითად, 1993 წლის ოქტომბერში დასავლეთი მშვიდად უმზერდა ტანკების ცეცხლს თეთრი სახლის წინააღმდეგ მოსკოვში. მაშინ ამას აღიქვამდნენ, როგორც ახალგაზრდა რუსული დემოკრატიის ბრძოლას რეაქციულ ძალებთან. არავინ აპირებდა ბ.ელცინის გასამართლებას ჰააგაში და რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების შემოღებას...

გაეროში საბედისწერო რეზოლუციის მიღების წინა დღეს პოლკოვნიკი კადაფი შეეცადა სოლი ჩაერჭო მსოფლიოს წამყვანი მოთამაშეების რიგებში. როდესაც დასავლეთთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა, მან გამოთქვა დაპირება, რომ ლიბიის კაპიტალს დააბანდებდა რუსეთში, ჩინეთსა და ინდოეთში, ამასთან ერთად – მისცემდა მათ ყველა სანავთობო კონტრაქტებს. ამ თავგანწირულმა ჟესტმა ხომ არ განსაზღვრა მისი ბედი?

**ვიტალი ტეპლიაევი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

ვერნისაჟი

# დიდებული ხელოვნების სამყაროში

**ბოლო დროს იაპონიაში დატრიალებულმა ტრაგედიამ, ათასობით ადამიანის დაღუპვამ და უგზოუკვლოდ დაკარგვამ ერთიანად მთელი მსოფლიო შეძრა. იაპონელ ერს, სხვებთან ერთად, საქართველოც გამოეხმაურა, ამერიკაში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტი იაპონიის საელჩოს ეწვია და სტუმართა წიგნში საგანგებო ჩანაწერიც გააკეთა. ამ დღეებში ჩვენში მრავალი ღონისძიება იმართება იაპონიასთან, მის კულტურასთან და ისტორიასთან დაკავშირებით, რაც თანადგომის ერთ-ერთი გამოვლენაა.**

ამ მხრივ განზე არც შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი და თავისუფალ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გამოფენა „შეიცანი იაპონია“ შესთავაზა საზოგადოებას. 28 მარტს თბილისელებს და ქალაქის სტუმრებს პირველად მიეცათ საშუალება, ეხილათ ეროვნულ მუზეუმში დაცული იაპონური ხელოვნების ნიმუშები.







ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო იაპონური ხელოვნების განვითარების გვიანდელი პერიოდის (მე-18-მე-20 ს.ს.) მრავალი ნივთი. 150 ექსპონატს შორის იყო ტიხრული მინანქრისა და ფაიფურის ჭურჭელი, სპილოს ძვლის ნაკეთობები, საბრძოლო აღჭურვილობა, სარიტუალო დანიშნულების რელიგიური ნივთები, ჩაის ცერემონიისთვის განკუთვნილი ჭურჭელი, სათამაშოები, სამოსის დეტალები და სხვ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის იაპონური კოლექციის დიდი ნაწილი კავკასიის მუზეუმის, საქართველოს ეროვნული გალერეის, მუზეუმ „მეტეხის“, წერა-კითხვის გამავრცელებელი, ასევე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებების კოლექციების ბაზაზეა შექმნილი. მათ მე-20 საუკუნის შუა წლებიდან კერძო კოლექციონერებისა და სახელმწიფო შესყიდვების გზით შემოსული ექსპონატებიც დაემატა.

გამოფენაზე წარმოდგენილი კოლექციის დარგობრივი და ჟანრული მრავალფეროვნება მნახველებს საშუალებას აძლევდა, თვალი გაედევნებინათ იაპონური ხელოვნების განვითარების უაღრესად საინტერესო, გამორჩეულად თვითმყოფადი გზისთვის, დაენახათ მისი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ხასიათი და განსაკუთრებით შთამბეჭდავი მხატვრული ესთეტიკა.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით გამოფენის პარალელურად აჩვენეს იაპონური ტრადიციული რიტუალი შოდო, იაპონური დამწერლობის კალიგრაფიული მხატვრული ხატვა. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე პრეზენტაცია, რომელთა დროს ახალგაზრდებს იაპონური კულტურა და ტრადიციები გააცნეს.

**ირმა ირემაშვილი,**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

სამბო

# რვა მედალი მოსკოვიდან



**რუსეთის დედაქალაქში დამთავრდა შულცისა და ხარლამპიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირები სამბოში. მთავარი მწვრთნელის – ოლეგ იაძის ხელმძღვანელობით ქართველმა ფალავნებმა მოსკოვიდან რვა მედალი წამოიღეს.** შულცის ტურნირზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ უშანგი კუზანაშვილი (57 კგ.ძ, ზურაბ ნოზაძე (74ძ, ნიკოლოზ კუცია (82ძ და მინდია ბოდაველი (90ძ, ხარლამპიევის ტურნირზე კი ოქროს მედლები კუზანაშვილმა და ბოდაველმა დაიმსახურეს, ხოლო გიორგი ტაბატაძეს (62ძ და კუციას „ვერცხლი“ ერგოთ.

ქართველი სამბისტები ახლა დაიწყებენ მზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც 12-16 მაისს სოფიაში გაიმართება.

გუშინ ბატონ ოლეგ იაძეს 50 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

**„სრ“ სპორტის რედაქცია**

წყალბურთი



# ფავორიტს უმასპინძლებენ

**საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საბერძნეთისა და დიდი ბრიტანეთის გუნდებთან ერთად ასპარეზობს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. პირველი წრის მატჩში ჩვენმა წყალბურთელებმა შინ კუნძულელებს 9:3 სძლიეს.** ამჯერად ისინი ჯგუფის ფავორიტს – ათენის ოლიმპიადის მეოთხეადგილოსანსა და მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ ბერძენთა გუნდს უმასპინძლებენ. მატჩი „ოლიმპიკის“ აუზში დღეს 21 საათზე დაიწყება. საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: ზურაბ ჭუმბურიძე, გალაქტიონ ლაითაძე, მარკო ელაჩა, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, გიორგი ხვედელიანი, რევაზ ჩომახიძე, მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა (კ.ძ, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარკო ელეზი, ალექსანდრე ნამორაძე. მთავარი მწვრთნელი ზვიად დავითიანი, მწვრთნელი მირიან ასათიანი.

საგულისხმოა, რომ ბერძნებმა შარშან ბრიტანელებს სტუმრად 13:2 მოუგეს.

**ლექსო ცინცაძე**

ჭიდაობა

# კვიცი გვარზე ხტის

**ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში დამთავრდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდა ფალავანთა საქართველოს პირველობა. მედლებისთვის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 207 წარმომადგენელი იბრძოდა.** წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: რამაზ ზოიძე (42 კგ., აჭარაძ, ბაკურ გოგოლი (46, სენაკიძ, ელნარ შავაძე (50, აჭარაძ, გიორგი ტოტიკაშვილი (54, გარდაბანიძ, ლერი მარიამიძე (58, თბილისიძ, გიორგი თოიძე (63, ოზურგეთიძ, ნიკა ფირცხალავა (69, წყალტუბოძ, ლაშა გობაძე (76, აჭარაძ, კუკური კირცხალია (85, თბილისიძ, ზურაბ გედეხაური (100, თბილისიძ. საგულისხმოა, რომ ზურაბი სახელოვანი მოჭიდავის, მსოფლიო ჩემპიონ გურამ გედეხაურის ვაჟია.



პირველობის გამარჯვებულები და პრიზიორები კიდევ რამდენიმე ტურნირში იასპარეზებენ და სწორედ ამის შემდეგ დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში მიიღებს მონაწილეობას.

**ლაშა დიდია**

ჭადრაკი

# ლიდერს ქულით ჩამორჩება



**მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც ფრანგული ექს-ლე-ბენი მასპინძლობს, შვიდი შესაძლებლიდან 6 ქულით რუსი ვლადიმირ პოტკინი ლიდერობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით 19 დიდოსტატი ჩამორჩება.** მათ შორის, სამწუხაროდ, არც ერთი ჩვენებური არ არის, არადა, ტურნირში საქართველოს რვა წარმომადგენელი მონაწილეობს. სხვებზე უკეთესი შედეგი აქვს კონტინენტის შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორ ბაადურ ჯობავას, რომელმაც 5 ქულას მოუყარა თავი. სხვების მონაგარი კი ასეთია: თორნიკე სანიკიძე – 4,5, ლევან ფანცულაია, სალომე მელია – 4-4, ლელა ჯავახიშვილი, დავით ლობჟანიძე, ლუკა პაიჭაძე, დავით ზარქუა – 3,5-3,5 ქულა.

**ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.**

**გივი გაგუა**

ჩოგბურთი

# სარეკორდო გრაფიკით

**მაიამის ჰარდზე მიმდინარე მასტერსის კატეგორიის ასპარეზობა „სონი ერიქსონ ოუფენი“ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, თუმცა საკმაოდ პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირია (საპრიზო ფონდი – 3 მილიონ 645 ათასი დოლარიძ, მაგრამ მერვედფინალური მატჩების წინ მან დამატებითი დატვირთვა შეიძინა.**

ამის მიზეზი საერთაშორისო



რეიტინგის მეორე ნომერი, 23 წლის სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი გახდა, რომელმაც სეზონის დაწყებიდან ზედიზედ მეოცე შეხვედრა კორტის მასპინძელ ჯეიმს ბლეიქს 52 წუთში მოუგო და დაუმარცხებელი ბრძოლების სერიაში უკვე მესამე შედეგი აქვს.

სპორტის აღნიშნული სახეობის ისტორიაში მას მხოლოდ ჩეხი ივან ლენდლი (25 გამარჯვება 1986 წელსძ და ამერიკელი ჯონ მაკინროი (39 გამარჯვება 1984 წელსძ უსწრებენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მალე საგრუნტო ბატალიები გაჩაღდება, სადაც მსოფლიოს პირველი ჩოგბანი, ესპანელი რაფაელ ნადალი ბატონობს, ბალკანელს ახალი რეკორდის დამყარება ძალიან უნდა გაუჭირდეს.

თუმცა, ვინ იცის?!

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## კადიროვი ცხენებმა „გაიტაცეს“



**ჰობი – რაიმეთი გატაცება ძალზე ბევრი ადამიანის დამახასიათებელია, მათ შორის ყოფილა ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვიც. მას თურმე ცხენები და ცხენოსნობა იტაცებს. ამ დღეებში „მსოფლიო თასზე დუბაი-2011“ ჩეჩნეთის თავკაცმა რუსეთის საცხენოსნო სპორტის ისტორიაში პირველად სამი ცხენი ჩაიყვანა პრესტიჟულ დოღში მონაწილეობისთვის. მისმა ცხენმა სიტანო ფერნანდომ საპრიზო მეექვსე ადგილი დაიკავა და 200 ათასი დოლარი მოუპოვა თავის პატრონს.**

როგორც რამზან კადიროვმა განაცხადა, რუსული ბედაურები მხოლოდ ახლა იწყებენ დუბაის დოღების ათვისებას. ის კი საყოველთაო აღიარებით, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია მსოფლიოში. დუბაიში პირველი და მეორე ადგილები იაპონიის ცხენებმა მოიპოვეს.

## მარათონიდან – ციხეში

**მართალია, უგანდის დედაქალაქ კამპალაში გამართულ მარათონში კენიელი დანიელ კიპლაგატ სამბუ ფინიშთან პირველი მივიდა, მაგრამ ზეიმის საშუალება არ მისცეს, უგანდელმა პოლიციელებმა ის პირდაპირ ციხეში გააქანეს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე უვიზოდ ყოფნის გამო. თუმცა სამბუ ამტკიცებს, რომ ის უგანდელია, სადაც მარათონი ტარდებოდა.**

უკვე ორი თვეა, რაც ის ციხეში ზის. მართალია, ადვოკატებიც დაიქირავეს, მაგრამ კენიის მთავრობის დაუხმარებლად, ჯერჯერობით ვერაფერს გახდნენ. მას უკვე მიმართა ცნობილმა კენიელმა მძლეოსანმა დანიელ კომენმა.




## მეკარის მეასე გოლი



**ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე შედეგიანმა მეკარემ როჟერიო სენიმ კარიერაში მეასე გოლი გაიტანა. ბრაზილიის „სან-პაულოში“ მოთამაშე მეკარემ თავი ერთხელ კიდევ გამოიჩინა სან-პაულუს შტატის ჩემპიონატის მატჩში „კორინტიანსთან“. მან საჯარიმო გაიტანა, მისმა გუნდმა კი გაიმარჯვა 2:1.**

სენიმ მეტოქის კარი შეხვედრის 54-ე წუთზე აიღო. მან ბურთი ცოცხალ კედელს გადაატარა და მარჯვენა მაღალ კუთხეში გაიტანა.

ფიფას ოფიციალური ცნობით, მეკარის ანგარიშზე 98 გოლია, მაგრამ მას ჩაუთვალეს 2 ბურთიც, არაოფიციალურ ამხანაგურ მატჩებში რომ გაუტანია. მეკარემ 56 ბურთი საჯარიმოდან გაიტანა, დანარჩენი კი – პენალტებით.

## კრაუჩი გამოიჭირეს

**ინგლისურმა პრესამ გამოქექა, რომ ფეხბურთში ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი პიტერ კრაუჩი ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ დუბაიში ერთი ლამაზმანის აპარტამენტებში ატარებდა დროს. საქმე კინაღამ ინტიმურ ურთიერთობამდე მივიდა.**

თურმე ფეხბურთელი საამიროებში მოხვდა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „მილანთან“ შესახვედრად გუნდთან ერთად სავარჯიშოდ. ერთ-ერთ ღამის კლუბში დროსტარების შემდეგ კრაუჩი და 22 წლის ნორვეგიელი სტიუარდესა სიუზანა ტიუნსვეიტი ავიაკომპანიის კომპლექსისკენ გაეშურნენ.



მუსულმანური კანონებით დაუქორწინებელი კაცი და ქალი არ შეიძლება ერთად იყვნენ. ამ კანონის დარღვევა იწვევს გაწკეპლასა და ციხეში ჩასმასაც.

ალბათ, სწორედ ამიტომ ისინი შეაჩერა კომპლექსის უშიშრების უფროსმა, მაგრამ ქალმა სთხოვა – 10 წუთით მაინც შეეშვა მისი მეგობარი, რათა ბინიდან რაღაც წამოეღოთ. ცნობილი გახდა, რომ მომსვლელთა ჟურნალში კრაუჩი ჩაეწერა როგორც ჯონსონი, თუმცა შემდეგ ის გადაშალეს და ნამდვილი გვარი ჩაწერეს.

ორი კვირის წინათ კრაუჩს სატრფომ გოგონა სოფია რობი გაუჩინა. თუმცა ფეხბურთელი ჯერ კიდევ შარშან აგვისტოში კიდევ ერთ სკანდალში გამოიჭირეს 19 წლის მონიკა მინთან, რომელსაც კრაუჩმა თითქოს სექსისთვის 800 ევრო გადაუხადა. მაშინ საქმე კინაღამ განქორწინებით დასრულდა.

ოლიმპიზმი

# ყაზახეთი ემზადება

**როგორც ასტანიდან იტყობინებიან, ყაზახეთი აპირებს 2022 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას. ალბათ, გახსოვთ, აზიურ თამაშებზე სტუმრად ჩასულმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ, დაათვალიერა რა ყაზახეთის სპორტული ნაგებობები, ურჩია ყაზახეთს, ეფიქრა ზამთრის ოლიმპიადის მიღებაზე, რასაც ქვეყანა მართლაც გამოეხმაურა.**



როგორც ამ რესპუბლიკის ტურიზმისა და სპორტის მინისტრმა ტემირხან დოსმუხამბეტოვმა თქვა, ყაზახეთი მზადაა თამაშების მისაღებად „ნებისმიერ დროს“. მისი განცხადებით, საჭიროა მხოლოდ ოლიმპიური სოფლისა და ბობსლეის ტრასის მშენებლობა, დანარჩენი სპორტული ნაგებობები კი აზიად-11-თვის რომ ავაშენეთ, შეესაბამება აუცილებელ მოთხოვნებსო. იმ შემთხვევაში კი, თუ სოკ-ი ნებას არ დაგვრთავს ოლიმპიადის ორ ქალაქში – ალმა-ატასა და ასტანაში ჩატარებაზე, მაშინ შევთავაზებთ ალმა-ატას, რადგან ასტანაში არაა სამთო-სათხილამურო შეჯიბრებების ჩატარებისთვის სათანადო პირობებიო.

ახლახან გამოიცა

# წიგნში განფენილი ვაჟას სიცოცხლე...

ეს კაცი ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი სასიამოვნო ავტორი იყო. სასიამოვნო, როგორც პიროვნება, სასიამოვნო – ნაწერითა და აზროვნებით... თემაც თავისი ჰქონდა ვაჟა ჭიაურელს – დიდუბელი, იქვე, „დინამოს“ სტადიონთან მცხოვრები ბიჭი, სპორტით, კერძოდ, ფეხბურთით იყო გატაცებული და ამ გატაცებამ ჟურნალისტიკაში მოასინჯვინა კალამი. გამოაქვეყნა კიდეც შესანიშნავი წერილები მიხეილ მესხზე, რეზო ძოძუაშვილზე, გივი ნოდიაზე... ბუკლეტები დაბეჭდა თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდზე... ჩვენი ვაჟა, ძირითადად, ამიერკავკასიის რკინიგზის საინფორმაციო ცენტრში მუშაობდა, მოგვიანებით იყო რკინიგზელთა გაზეთ „ევრაზია ექსპრესის“ რედაქტორის მოადგილე, იყო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს „საპატიო რკინიგზელი“, ღირსების ორდენოსანი...

სამწუხაროდ, არცთუ ხანდაზმული, 60 წლის ასაკში, დაემშვიდობა საყვარელ საქართველოს,




ახლობლებსა და უამრავ ნაცნობმეგობარს... დარჩა კაი კაცისა და კაი ჟურნალისტის სახელი, რომელიც მიმოფანტულია ვაჟა ჭიაურელის უამრავ პუბლიკაციაში, დარჩა უამრავი ფოტო, ჩვენს სახელოვან სპორტსმენებთან თუ მეგობრებთან გადაღებული...

აბა, ვის უნდა მიეხედა ამ ძვირფასი არქივისთვის, თუ არა უახლოეს ადამიანს და, მეტადრე, დედმამიშვილს?.. ჰოდა, ვაჟას ძვირფასმა დაიამ ქალბატონმა ლილი კოჭლამაზაშვილმა შეადგინა და ახლახან გამოსცა კიდეც კრებული „ვაჟა ჭიაურელი – „ოქროს ბიჭებისა“ და კიდევ სხვათა მემატიანე“, რომელშიც დაბეჭდილია მასალები ვაჟას განვლილ გზაზე თავად ლილი კოჭლამაზაშვილისა, დემიკო ლოლაძისა, ვაჟა აზარაშვილისა, ვაჟა სიმონაშვილისა, ნ. აბზიანიძისა, ანზორ ბასილაიასი და სხვების, შემდეგ კი ვეცნობით კრებულში თავმოყრილ მასალებს: ინტერვიუებს, რეპორტაჟებს, ნარკვევებს ჩვენი ნიჭიერი მეგობრისას, ვეცნობით უამრავ ფოტომასალას და გული გვწყდება ამ ქვეყნიდან მისი ნაადრევად წასვლის გამო...

მადლობა ღმერთს, რომ ხსოვნა გულისა არ ფერმკრთალდება და ვაჟა ჭიაურელის სიცოცხლე ამ შესანიშნავი წიგნით გრძელდება...

წიგნის გაფორმებაში თავისი წვლილი შეუტანია ჩვენს ძვირფას დემიკო ლოლაძეს – ვაჟა ჭიაურელის უახლოეს მეგობარს... მისი გულმხურვალების ამბავი რომ ვიცით, ეს ფაქტი არც გაგვკვირვებია. სხვათა შორის, ამ დღეებში დემიკოს საქართველოს მწერალთა კავშირმა ნიკო ნიკოლაძის პრემია მიანიჭა, რასაც გულით ვულოცავთ. წარმომიდგენია, როგორ გაახარებდა ეს ფაქტი მის ძმას ვაჟა ჭიაურელს.

ვილენ მარდალეიშვილი

შეხვედრა პოეტთან

# „სტუდენტებს არასოდეს გამოვიყენებ პოლიტიკური მიზნებისთვის“

**„ჩვეულებრივ ცხოვრებაში – და არა პოლიტიკაში – აუდიტორია არასოდეს გამომიყენებია პოლიტიკური მიზნებისთვის“, – ასე დაიწყო პოეტმა დავით მაღრაძემ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრა. პოეტი შეკრებილთ ესაუბრა ქართულ-ევროპულ კულტურაზე, წიგნიერების პრობლემაზე ჩვენ ქვეყანაში და აღშფოთება გამოხატა „იმედის“ პროგრამა „სპეციალურ რეპორტაჟში“ გასული სიუჟეტის მიმართ, სადაც კითხვაზე – „რომელ საუკუნეში მეფობდა შოთა რუსთაველი?“ რესპონდენტები სხვადასხვა საუკუნეს ასახელებდნენ. როგორ შეიძლება ქართველმა არ იცოდეს, რომ შოთა პოეტი იყო და არა მეფე? – გულისწყრომით იკითხა პოეტმა.**

კითხვაზე, რატომ არ იციან ახალგაზრდებმა ვინ იყო შოთა რუსთაველი, დავით მაღრაძემ უპასუხა: „საქართველოში განათლების სისტემა მოშლილია, მანდატურების სისტემა არ არის განათლების სისტემა. ამ სფეროში მუშაობენ ადამიანები, თავს რომ ექსპერტებს უწოდებენ და ფიქრობენ, რომ დედაენა „მოძველებულია“. ვინ მოიგონა ეს? მაგრამ არაფრის მიგნება და გამოგონება არ არის საჭირო, როცა პედაგოგი არის სოლომონ დოდაშვილი და მოწაფე – ნიკოლოზ ბარათაშვილი.

დაბოლოს, პოეტმა განაცხადა: „მე უპარტიო ვარ და სტუდენტებს არასოდეს გამოვიყენებ პოლიტიკური მიზნებისთვის“.

შეხვედრის დასასრულ, სტუდენტების თხოვნით, პოეტმა საკუთარი ლექსები წაიკითხა, ახალგაზრდებს წარმატება და ქვეყნის გაძლიერება უსურვა.

ხატია ცარციძე

გრამიტონ კვარაცხელია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ღირსების და გორგასლის ორდენების კავალერი

ვარლამ როდონაია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ბიცოლა ანა კარანაძე, ბიძაშვილები გრიგოლ, ნათია კარანაძეები, დეიდაშვილები გიორგი ნინუა, ანა ლომიძე, სიძეები მერაბ გვილავა, გია ლომიძე, რძალი ვიკა მალახიევა, ბიძაშვილები რატი გვილავა, სოფო კარანაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თიკო რობაქიძე.

---

ოთარ და ვიქტორია კაკაურიძეები მწუხარებას გამოთქვამენ ბატონ

გრიგოლ ბოკუჩავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

წარდგინება

# ასე ძველი და ძვირფასი ლუდი...

**საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა ცნობილი ისტორიკოს-ეთნოგრაფის, პროფესორ ელდარ ნადირაძის წიგნის – „ქართული ლუდის“ კურთხევა.**

**წიგნი გამოიცა კომპანია „ნატახტარის“ მხარდაჭერით. სწორედ ამ სოლიდური კომპანიის ფინანსური თანადგომის დამსახურებაა ისიც, რომ ნაშრომს უხვად ილუსტრირებული ფერადი ალბომის სახე აქვს და მიმზიდველი დიზაინით (დიზაინერი დავით კუტუბიძეძ გამოირჩევა.**




პროფესორ ელდარ ნადირაძეს ქართულ ლუდზე გამოკვლევა ჩაფიქრებული ჰქონია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევის სახით. ეს ინტერესი მას გაუძლიერა საკუთარი მასწავლებლის ანდრო ლეკიაშვილის ნაშრომმა „ქართველ მთიელთა მეურნეობის ისტორიიდან“. ეს გამოკვლევა გახდა მთავარი ნიშანსვეტი ელდარ ნადირაძის ნარკვევისა, რომელიც თანდათან ისტორიულ ნაშრომად ჩამოყალიბდა. მასწავლებლის – ანდრო ლეკიაშვილის (სწორედ მის ხსოვნას ეძღვნება წიგნიძ და შეგირდის – ელდარ ნადირაძის ერთობლივი რუდუნებით ამ ნაშრომში უფრო გამოიკვეთა დამაჯერებელი დასკვნა ქართული ლუდის შესახებ. ეს დასკვნა კი ერთობ საინტერესოა: არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების გაანალიზებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ ადამიანისთვის ასე სასარგებლო პროდუქტის – ლუდის წარმოება საქართველოში უძველესი დროიდან დაიწყო და ღვინოზე არანაკლებ ადრეული ხანის კულტურაა! მეცნიერთა თვალთახედვით, ლუდის სამშობლოს ძიებას შუმერთა ქვეყანაში მივყავართ, რომელი ქვეყნის კულტურისა და ყოფაცხოვრების დღემდე ცოცხალი ნაკადულები საქართველოშიც უხვად მოედინება...

ქართველთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მთიელი მოხევეები, ხევსურები, ფშაველები, თუშები ლუდს წმინდა სასმელად მიიჩნევენ და მისთვის საჭირო მარცვლეულსაც კი ეგრეთ წოდებული ხატის მიწაზე მოიწევენ და ხატის ბეღელში ინახავენ. წმინდად იყო მიჩნეული ის უზარმაზარი ქვაბიც კი, რომელშიც ლუდი იხარშებოდა. უწმინდური ვერ შეეხებოდა ჭურჭელს, რომლითაც ღვთაებათა სადიდებელს წარმოთქვამდნენ...

ერთი სიტყვით, ლუდი გაცილებით ძველი და ძვირფასი ყოფილა, ვიდრე აქამდე წარმოგვედგინა...

ელდარ ნადირაძის პოპულარულ ნაშრომში დოკუმენტურად წარმოჩენილია ქართული ლუდის წარმოების სამეურნეო ფორმები და მასთან დაკავშირებული საკულტო-რელიგიური რიტუალები, რომლებიც კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ ააშკარავებს სამხრეთ კავკასიის მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ კავშირს ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან. ამ თვალსაზრისით წიგნის ავტორს განსაკუთრებით დაეხმარა მკვლევარ ლექსო ოჩიაურის მოძიებული მასალები.

– ქართული ლუდის“ რედაქტორები არიან ნუგზარ და ანზორ იდოიძეები, რომლებიც უშურველად ეხმარებოდნენ მეცნიერ-ეთნოლოგს თუშეთში სამეცნიერო მოგზაურობის ჟამს. წიგნი ქართულის შესატყვისი ინგლისურით უთარგმნია ვალერი ჭკადუას, რომელიც ნაშრომს უცხოელებისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის. უნიკალურ ფოტოილუსტრაციებზე, ავტორთან ერთად, გიორგი და კობა არაბულებს, გურამ ბუმბიაშვილს და გურამ რაზმაძეს უმუშავია.

წიგნი გამომცემლობა „მერიდიანში“ დაიბეჭდა.

„ქართული ლუდის“ წარდგინებისას მისი ავტორისა და ნაშრომის ავ-კარგზე ისაუბრეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, პროფესორებმა თამილა ცაგარეიშვილმა, თამაზ ტყემალაძემ, კობა არაბულმა და სხვ.

მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წიგნის შემქმნელის ახალი ნაშრომი ელდარ ნადირაძის მომავალი, უფრო საინტერესო წიგნების საწინდარია!

სპარტაკ ქობულია

კრიმინალი

## ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის ყიდვა სურდა, მაგრამ...

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსთავში მცხოვრებმა დავით ორდენიძემ თემურ წიკლაურს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა იმის შესახებ, რომ გამოცხდებული იყო ტენდერი ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის რეაბილიტაციის შესახებ.

– აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მიღებასა და გამარჯვებაში დახმარების სანაცვლოდ დავით ორდენიძემ თემურ წიკლაურს თაღლითურად გამოსძალა 75 000 ლარი, – აღნიშნულია შსს-ის განცხადებაში.

დაკავებული მის მიერ ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება სსკ-ის 180-ე მუხლით მიმდინარეობს.

ჯი-ეიჩ-ენი

ნოდარის კარიკატურა



ინფორმაცია

## რიკოთის გვირაბი დაკეტილია

**მიზეზი გვირაბში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპია. შეიცვლება კომუნიკაციები, დამონტაჟდება განათების ახალი სისტემა.**

**რიკოთის გვირაბი წლის ბოლოს გაიხსნება. საავტომობილო მოძრაობა შემოვლითი გზით არის შესაძლებელი.**

ჯი-ეიჩ-ენი



## დაიჯესტი

# ფულს შოულობენ კიდეც, ხარჯავენ კიდეც



**ჟურნალ „ფორბსის“ ვერსიით, 2009-2010 წლებში ჰოლივუდელ მსახიობთა შორის ყველაზე მეტი ჰონორარი, 75 მილიონი დოლარი, ჯონი დეპმა მიიღო. მისი მონაწილეობით ბოლო დროს ეკრანზე გამოსული კინოფილმებიდან საგანგებოდ აღსანიშნავია „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, რომელმაც სადღეისოდ მთელ მსოფლიოში მილიარდ დოლარზე მეტი (!) შეაგროვა!**

ჯონი დეპს, 22-მილიონიანი „გარღვევით“ ჩამორჩება ბენ სტაილერი, მესამე ადგილზეა ტომ ჰენქსი (43 მილიონი დოლარი). კინომსახიობ ქალთა შორის პირველ ადგილზეა სანდრა ბალოკი (56 მილიონი დოლარი).

ასევე „ფორბსის“ ცნობით, ყველაზე ხელგაშლილი კაცი შარშან რომან აბრამოვიჩი ყოფილა, რომელმაც ორ იახტაში 350 მილიონი დოლარი გადაიხადა. მეორე ადგილზეა ცნობილი ამერიკელი ინვესტორი, რომელმაც რამდენიმე ნახატში 145,4 მილიონი დოლარი გადაიხადა, მესამე ეი — პაკისტანელი მილიარდერი, რომელმაც 95 მილიონ დოლარად სასტუმრო იყიდა.



მთლიანად კი მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანებმა „საყიდლებში“ 235 მილიარდი დოლარი დახარჯეს (!).

# ანტარქტიდის თავადი

**ყუბანის სტანიცა ლენინგრადსკაიას მცხოვრები იური ხარჩუკი რამდენიმე წლის წინათ... თავადი გახდა.**

თავად ხარჩუკის დაქვემდებარებაში 30 სამინისტრო და 23 კომიტეტია, მათ შორის ისეთი ეგზოტიკურები, როგორებიცაა **განძთსაძიებო პრობლემათა სამინისტრო** (თავად ხარჩუკი განძთა მძებნელია), **ანომალურ მოვლენათა კომიტეტი და სხვ.**

ანტარქტიდის რუკაზე მან ვიწრო ზოლი მონიშნა, რომელიც ყინულოვან კონტინენტს ჩრდილოეთ სანაპირო ზოლიდან სამხრეთ პოლუსამდე ყოფს — სწორედ ესაა იური ხარჩუკის სათავადო.

მისი სათავადო მშობლიური სტანიციდან საკმაოდ შორსაა, რადგან დაუნაწილებელი სხვა ტერიტორია დედამიწაზე აღარ დარჩა. არც ყინულოვან კონტინენტზეა საქმე მარტივად: **ანტარქტიდის შესახებ 46 სახელმწიფოს ხელშეკრულების თანახმად, არც ერთი მათგანი თეთრ მატერიკზე სამხედრო მანევრებს არ ჩაატარებს, თუმცა, როგორც ჩანს, მიწაზე დიდი კამათი ჯერ კიდევ წინაა.** თუმცა, ამ დავაში კერძო პირთა ჩარევა ჯერჯერობით არავის აუკრძალავს.

ეს ამბავი პირველმა იური ხარჩუკმა გაიაზრა. **2002 წლის 14 მარტს მან სათავადოს დეკლარირება მოახდინა, მიიღო კონსტიტუცია, დაწერა ჰიმნი, დახატა გერბი, მოჭრა მონეტები და ქაღალდის ფულიც დაბეჭდა.** თავის ფულის ერთეულს მან „სუნდუკი“ დაარქვა (ერთ „სუნდუკში“ 6 ევროა), ხურდა ფულს კი „კუბიშკა“. ამ ფულით თოვლისა და ყინულის გარდა რაიმეს ყიდვა შეუძლებელია, სამაგიეროდ კოლექციონერები რომ იტყვიან, იტაცებენ ახლადგამომცხვარი სათავადოს რარიტეტებს, მათ შორის რაინდულ ჯვრებსა და ორდენებს. ხარჩუკი გულუხვად აჯილდოებს ყველას, ვინც სათავადოს სუვერენიტეტს სამსახური გაუწია.





— როგორც ყველა მონარქს, მეც მაქვს ჩემი ქვეყნის მოქალაქეობის ბოძების უფლება, — ყოველგვარი ყალბი მორიდებულობის გარეშე აცხადებს თავადი ხარჩუკი. — ერთხელ პასპორტი სომეხს, აზერბაიჯანიდან ლტოლვილს გამოვუწერე. როცა იგი მოსკოვში მილიციელმა დააკავა, 15 დღე-ღამით კი არ ჩასვეს, არამედ ერთით. გამოდის, რომ პასპორტმა თავის საქმე ქნა!



წლეულს თავადი ხარჩუკი თავისი პასპორტების უფრო მძლავრ ინტერვენციას ამზადებს. მონარქის აზრით, საბუთი შთამბეჭდავი უნდა იყოს: კოლენკორი მაღალი ხარისხისა უნდა იყოს, ფოტო — ლამინირებული, ფურცლები სხვადასხვა ფერებში უნდა გადიოდეს... ასეთი პასპორტისთვის მთავარია ბეჭდის დასმა საზღვრის გადაკვეთის დროს. საერთაშორისო სამართლის ამაყ სუბიექტებში ყალბ პასპორტში ბეჭედს არავინ ჩაარტყამს. მაგრამ დნესტრისპირეთის ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ მას თავის ტერიტორიაზე ანტარქტიდული პასპორტით შეშვების პირობა მისცა.

— მერე ჩემი სათავადოს შტამპიანი პასპორტით ტირასპოლის ერთ-ერთ ბანკში ანგარიშს გავხსნი, შემდეგ ამ ანგარიშზე ძვირფას ლითონებს, ოქროსა და ვერცხლს დავდებ, შემდეგ მათ აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემაში გადავიტან, რომელიც მათ ნებისმიერ მეანაბრისგან იღებს. ამით ჩემი სათავადოს ვაშინგტონში ლეგალიზებას მოვახდენ — განა საამისოდ უკეთესი რამის მოფიქრება შეიძლება? — აცნობს ჟურნალისტებს თავის სამომავლო სტრატეგიას თავადი ხარჩუკი.

ყველა სიკეთესთან ერთად, ახალგამომცხვარი თავადი წარმატებით აშენებს მტრედებს, ფუტკრებს, შინშილებს, თხებს, ღორებს... თანაც სოფლის სამეურნეო საქმიანობაზე 90 წიგნის ავტორია! ასე რომ მორიდებული ბიუჯეტისთვის ფულის თავმოყრა ახალ ხელმწიფეს არ გაუჭირდება.

მოამზადა
**ოთარ ტურაზელიძემ**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**• ფიზიკოს ანდრე-მარი ამპერზე (1775-1836) ანეკდოტი დადიოდა, ამპერმა თავისი საათი მოხარშაო. ექსცენტრიკულ ამპერს ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ სიცოცხლეშივე ელიარებინათ მისი ნიჭი, მაგრამ 1792 წელს მის მშობლიურ ქალაქ ანდრე-მარი-ლიონში სიკვდილით დასაჯეს მამამისი, როგორც საფრანგეთის რევოლუციის მომხრე. ამპერს ადრე გარდაეცვალა ცოლი, რომელსაც ქმარი არ უყვარდა და ფიზიკოსი 3 წლის ქალიშვილის ამარა დარჩა. მეორე ცოლმა ამპერი სახლიდან გააგდო. გარდაიცვალა 61 წლისა, ფილტვების ანთებით. საფლავის ქვაზე მისივე თხოვნით გაუკეთეს წარწერა: „ძლივს ბედნიერი ვარ“. ორი წლის შემდეგ კი მისი თეორია „ელექტრული ველების შესახებ“ გენიალურად აღიარეს. მაქსველმა კი ამპერის სიკვდილს ეროვნული უბედურება უწოდა.**

**• სტენდალს (ანრი-მარი ბეილი; 1783-1824 წ.წ.) სფევდონიმმაც კი ვერ უშველა, რომ სიცოცხლეშივე დაემკვიდრებინა ღირსეული ადგილი ლიტერატურაში. საზოგადოებას მისი რომანები მოსაწყენი ეჩვენებოდა და არ კითხულობდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო ბალზაკი — მაშინ დამწყები მწერალი, რომელსაც არავინ უსმენდა. სტენდალმა საკმაოდ წარმატებული კარიერა გაიკეთა ადმინისტრაციულ სამსახურში, ის გაურბოდა ქორწინებას, სამაგიეროდ უარს არ ამბობდა ქალწულების ცდუნებაზე. ბედის ირონიით, სტენდალის გარდაცვალებიდან შვიდი თვის შემდეგ მისმა რომანმა „პარმის სავანემ“ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, რომანი „წითელი და შავი“ კი კლასიკური ლიტერატურის მწვერვალად მიიჩნიეს.**

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

**იყიდება, ქირავდება!**
ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
ვრცელი ფართობი (180 კვმ.) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

## კადრი





**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7039 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3650 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7283 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9315 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +11 |
| ქუთაისი. | +3 – +10 |
| ბათუმი. | +3 – +8 |
| ზუგდიდი. | +3 – +10 |
| თელავი. | +2 – +11 |

## ანეკდოტები

გამოკითხვის მიხედვით ქვეყნის ხელისუფლებას ენდობა საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი. მასზე მეტი ნდობით (87 პროცენტი) სარგებლობს მხოლოდ ჰიდრომეტცენტრი.

* * *

— ყველაზე ძველი პროფესიების წარმომადგენლებმა — მეძავებმა და ქურდებმა როგორღაც გადაწყვიტეს დაქორწინება...
— მერე?
— მათი შვილები პირველი პროფესიონალი პოლიტიკოსები გახდნენ...

* * *

— თქვენი უფროსი ქალიშვილი კიდევ არ გათხოვილა? — ეკითხებიან ქათმების გამყიდველ ქალს.



— არა, — სევდიანად უპასუხებს გამყიდველი. — იგი ზუსტად ჩემი ქათმების ბედშია. ასეც სინჯავენ, ისეც სინჯავენ, ყიდვით კი არავინ ყიდულობს...

* * *

— ექიმო, ვგონებ, პიროვნების „აშლილობა“ მაქვს. ერთს ვფიქრობ, მეორეს ვამბობ, მესამეს ვაკეთებ! — შესჩივის ფსიქიატრს დეპუტატი.
— დაწყნარდით, სანერვიულო არაფერი გაქვთ. ეს ნიშნავს, რომ სავსებით ნორმალური ხალხის რჩეული ხართ.

* * *

განცხადება: პორნოსტუდიას უარყოფითი გმირის როლის შესასრულებლად სასწრაფოდ სჭირდება იმპოტენტი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.